გიორგი მაჭარაშვილი

დროშა გორგასლიანი

გიორგი მაჭარაშვილი

დროშა
გორგასლიანი

თბილისი | 2011

ძველი ქართული ეროვნული დროშის შესახებ უამრავ ავტორს აქვს აზრი გამოთქმული, როგორც ისტორიკოსს, ისე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელს. მაგრამ ჩვენი წიგნი გამორჩეულია იმით, რომ მასში მოცემულია საისტორიო წყაროების ყველასგან განსხვავებული, ახლებური ინტერპრეტაცია.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს შედარებით უფრო ვრცელი გამოკვლევის შემოკლებულ ვარიანტს. იგი სამი ნაწილისგან შედგება. პირველში მოცემულია გორგასლიანი დროშის სავარაუდო აღწერილობა, მეორეში – დროშასთან დაკავშირებული ტრადიციები, მესამე ნაწილი ეთმობა დროშაზე არსებული სიმბოლოების განმარტებას.

© გიორგი მაჭარაშვილი

ვუძღვნი წმიდათა დიდებულთა ახალმოწამეთა
და აღმსარებელთა ნათელ ხსოვნას

წმიდანო სანატრელნო ახალმოწამენო და აღმსარებელნო უფლისანო,
რომელნი გამობრწყინდით უკანასკნელთა ამათ ჟამთა და აღიმართენით ზღუდედ
კომუნიზმისა და ეკუმენიზმის და ყოველგვარი უღმერთობის წინააღმდეგ,
ერთად ევედრეთ ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ.

შინაარსი

ნაწილი პირველი

დროშის აღწერილობა.....5

დროშის სახელებისა და ეპითეტების შესახებ..... 5

დროშის ფორმისა და ზომის შესახებ 8

დროშის ფერის შესახებ..... 9

დროშაზე არსებული გამოსახულების შესახებ..... 15

დროშაზე არსებული წარწერის შესახებ 33

დროშის ბუნიკის შესახებ 35

ნაწილი მეორე

დროშასთან დაკავშირებული ტრადიციები 37

გორგასლიანი დროშა, როგორც ერთ–ერთი უმაღლესი სახელისუფლებო სიმბოლო..... 37

დროშა ეროვნულ და საეკლესიო დღესასწაულებზე 38

დროშა ბრძოლის ველზე..... 40
დროშისმტვირთველთა შესახებ..... 42
დროშის განახლებისა და კურთხევის წესის შესახებ.... 43
დროშის შენახვის წესისა და დროშასთან
დაკავშირებული სხვა ტრადიციების შესახებ..... 45

ნაწილი მესამე

დროშაზე გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობა.....48

ჩალისფერი ალმის შესახებ..... 48
გვირგვინით გამშვენებული ჯვრის შესახებ 49
დაქარაგმებული წარწერის შესახებ 50
სამი ღვთაებრივი საუნჯის შესახებ 51

ბოლოსიტყვა.....52
დამოწმებანი 54
დანართი: სიტყვა «სპეტაკის» განმარტებისათვის.....61
საძიებელი 67

ნაწილი პირველი
დროშის აღწერილობა

საქართველოს ძველი ეროვნული დროშის დეტალური აღწერილობა ქართულ წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ. პირიქით, შემორჩენილია მხოლოდ ცალკეული მწირი ცნობები [მუსხელიშვილი 1999]. ამასთან, დღემდე არ არის მიკვლეული ისეთი უცხოური წერილობითი წყაროები, რომლებიც ამ დანაკლისს სრულად აანაზღაურებდნენ. ამიტომ, გორგასლიანი დროშის სახეს აღვადგენთ მიახლოებით, რამდენადაც სადღეისოდ არის ეს შესაძლებელი.

დროშის სახელებისა და ეპითეტების შესახებ

საქართველოს ეროვნული დროშა საისტორიო წყაროებში მოიხსენიება არაერთი სახელითა და ეპითეტით. მას ეწოდება «სეფე დროშა», «გორგასლიანური» ანდა «გორგასლიანი» დროშა, «ბაგრატოანური» დროშა, «დავითიანი» დროშა. იგი ასევე იხსენიება, როგორც «დიდი დროშა», «დროშა მაღალი», «საჩინო დროშა», დროშა «სვიანად ჴმარებული», დროშა «ბედნიერად ჴმარებული»[1]...

---

[1] . «მოიღო **დროშა სჳანად ჴმარებული, გორგასლიანი და დავითიანი**» [ყაუხჩიშვილი 1959: 104]; «მოიღო **დროშა სეფე**, და მოუწოდა ივანე ათაბაგსა,... და უბოძა **დროშა სჳანი**» [ყაუხჩიშვილი 1959: 169]; «**სჳანი იგი** ბრძოლათა შინა **დროშა დავიათიანი და გორგასლიანი გამარჯუებული** არა–სადა ძლეულ იყო» [ყაუხჩიშვილი 1959: 165]; «**მაღლისა და საჩინოსა**, **დავითიანისა** დროშისა **გამარჯუებულისა**» [ყაუხჩიშვილი 1959: 165]; «**დროშისა სჳანად მოჴმარებულისა**, **ბაგ–**

«სეფე დროშა» თანამედროვე ქართულით აღნიშნავს სამეფო დროშას [ჯავახიშვილი 1984: 158–159].

«გორგასლიანი» ან **«გორგასლიანური»** (მოგვიანებით გვხვდება ასევე **«ვახტანგიანი»** [ზერძენიშვილი და სხვები 1956: 87]) აღნიშნავს იმას, რომ ეს არის წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის დროშა.

ივანე ჯავახიშვილი რატომღაც მიიჩნევდა, რომ «გორგასლიანში» მაინცდამაინც V საუკუნეში შეკერილი დროშა იგულისხმება. იგი ასევე ფიქრობდა, რომ ეს ძველი დროშა საქართველოს შემოსეულ მტრებს ვერ გადაურჩებოდა. ამრიგად, ქართველ მემატიანეთა პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ გორგასლიანი დროშა ჰქონდათ დავით აღმაშენებელსაც და მეფე თამარსაც, ივანე ჯავახიშვილს დაუჯერებლად მიაჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ გორგასლიანი დროშა ბაგრატ მესამემდეც ვერ მიაღწევდა [ჯავახიშვილი 1984: 158–159].

ჩვენ «გორგასლიანის» მნიშვნელობა განსხვავებულად გვესმის. მტრები საქართველოს საერთოდ რომც არ ჰყოლოდა, რა ქსოვილისგან უნდა ყოფილიყო შეკერილი ვახტანგ გორგასლის დროშა, რომ ის არ დაძველებულიყო და მრავალი საუკუნის შემდეგაც შესაძლებელი ყოფილიყო მისი

რატოანურისა და უფროსღა **გორგასლიანურისა**» [ყაუხჩიშვილი 1959: 68]; «**დროშა მისი სჯანი და ბედნიერად მყოფი** გაგზავნა ვარძიით» [ყაუხჩიშვილი 1959: 94–95]; «ვარძიისა ღმრთისმშობელისა წინაშე ცრემლით შევედრნა სოსლან დავით და სპა მისი, და **დროშა ბედნიერად ჴმარებული**» [ყაუხჩიშვილი 1959: 134]; «ააბეს **დროშა სჯანი და ჴმარებული**» [ყაუხჩიშვილი 1959: 38]; «აწ განცხადება ვთქვათ, დიდი დღესასწაული,... **დიდი დროშა** ააბან» [სურგულაძე 1993: 14–15]; «**დიდი დროშა** კარის შემოსავალსა დგას» [სურგულაძე 1993: 28].

აფრიალება? რა თქმა უნდა, ასეთი ქსოვილი, უბრალოდ, არ არსებობდა. შესაბამისად, ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ბაგრატისა და, მით უფრო დავითის დროს, «გორგასლიანი» უკვე შეუძლებელია V საუკუნეში შეკერილი დროშა ყოფილიყო.

მაშ, რატომღა იწოდება იგი «გორგასლიანად»?

როგორც ჩანს, საქართველოში არსებობდა ეროვნული დროშის უცვლელი სახით განახლების ტრადიცია. დრო–ჟამისგან გაცრეცილი გორგასლიანი დროშის განახლება ასწლეულების მანძილზე ისე ხდებოდა, რომ, ან საერთოდ არ იცვლებოდა მისი სახე, ანდა ცვლილება იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ფაქტობრივად დროშა იგივე რჩებოდა. სწორედ ამის გამო შეინარჩუნა საქართველოს ეროვნულმა დროშამ მთელი მისი არსებობის მანძილზე «გორგასლიანი» სახელი. სხვაგვარად ამ ფაქტის ახსნა, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ აღარც ქსოვილი იყო გორგასლის დროინდელი და აღარც გამოსახულება, მაშინ, უბრალოდ, გაუგებარი გამოდის, რატომღა იწოდებოდა ეს დროშა «გორგასლიანად».

«ბაგრატოანური», ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, აღნიშნავს იმას, რომ ეს დროშა სინამდვილეში ეკუთვნოდა საქართველოს გამაერთიანებელ მეფე ბაგრატ მესამეს (978–1014) [ჯავახიშვილი 1984: 159]. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად, «ბაგრატოანური» აღნიშნავს იმას, რომ ეს დროშა, გორგასლიანთა დინასტიის შემდგომ, ბაგრატიონთა სამეფო სახლის კუთვნილება გახდა [თვარაძე 2004: 76].

«დავითიანი» ვახტანგ გორგასლის დროშას ეწოდა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის შემდგომ.

«თამარიანი» – მართალია, ჩვენს დროში მეტად გავრცელებულია საქართველოს ეროვნული დროშის ეს სახელი, მაგრამ «ქართლის ცხოვრების» წიგნებში იგი არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ძველი ქართველი მემატიანენი გვაუწყებენ იმ დიდი გამარჯვებების შესახებ, რომლებიც წმ. მეფე თამარმა მოიპოვა «გორგასლიანი» დროშით. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, ქართველობამ თავის ეროვნულ დროშას მოგვიანებით «თამარიანიც» უწოდა.

დაბოლოს, თუმცაღა შემორჩენილ საისტორიო წყაროებში არსად ვხვდებით, მაგრამ ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია, თუკი «გორგასლიანურ» დროშას მოვიხსენიებთ ასევე **«გიორგაულ»**, ანდა **«გიორგიან»** დროშად, რადგან, ჟამთააღმწერლის ცნობით, სწორედ ამ დროშით იბრძოდა და მოიპოვა დიდებული გამარჯვებები ასევე მეფე გიორგი ბრწყინვალემ[2].

დროშის ფორმისა და ზომის შესახებ

ვახტანგ გორგასლის დროს დროშებს დღევანდელისაგან განსხვავებული ფორმა ჰქონდათ. როგორც ცნობილია, ისტორიის ასპარეზზე არაბი დამპყრობლების გამოჩენამდე დროშები ლაბარუმის ტიპისა იყო. სწორედ ასეთი ფორმისა

---

[2] . გიორგი ბრწყინვალეს თანამედროვე ისტორიკოსის სიტყვები, რომ გორგასლიან–დავითიან დროშას «არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა **ვიდრე ჟამთამდე ჩვენთა**», – აღნიშნავს იმას, რომ დროშა ნამდვილად იგივე იყო გიორგი ბრწყინვალეს დროსაც [მუსხელიშვილი 1998; მუსხელიშვილი 1999].

იქნებოდა თავდაპირველად ვახტანგ გორგასლის დროშაც [კლდიაშვილი 1997: 27; კლდიაშვილი 2003: 85].

ამავე დროს ცნობილია, რომ დროშებს შორის არსებობდა ერთგვარი იერარქია. ყველაზე მთავარი დროშა ყველეზე აღმატებული უნდა ყოფილიყო, როგორც თავისი ძვირფასი შემკულობით, ისე ზომით [მარგიშვილი 2007: 39–40]. ამრიგად, როდესაც გორგასლიან დროშას გაშლიდნენ, სხვა ქართული დროშებისგან იგი გამოირჩეოდა თავისი სიდიდითა და დიდებულებით. სწორედ ამის გამო საისტორიო წყაროებში იგი იხსენიება, როგორც «დიდი დროშა», როგორც დროშა «მაღალი და საჩინო»[3].

დროშის ფერის შესახებ

იყო თუ არა გორგასლიანი დროშა თეთრი ფერის?

ეს კითხვა, შესაძლოა, მოულოდნელი იყოს როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ისე ისტორიკოსებისა და ქართული სიმბოლიკის მკვლევართათვის. მოდით ვნახოთ, რას გვეუბნებიან საისტორიო წყაროები.

თამარის პირველი ისტორიკოსი წერს: «დროშაჲ იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს შესვლითგან **მოსპეტაკდე–ბოდა**» [ყაუხჩიშვილი 1959: 71].

---

[3] . «საჩინო» ესე იგი თვალსაჩინო, გამოჩენილი, რომელიც შორიდანაც კარგად ჩანდა. შდრ.: «ამართეს დროშა მაღალი, გამოჩნდებოდა შორია» [ლეონიძე, იორდანიშვილი 1935: 140].

ხოლო XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი აღნიშნავს: «წესად იყო, რომ სამეფო დროშას **სპეტაკი** ალამი უნდა ჰქონოდა»[4].

ეს არის და ეს, დიდი გორგასლიანი დროშის ფერის შესახებ სხვა წერილობითი წყარო არ მოგვეპოვება, თუ არ ჩავთვლით «ხელმწიფის კარის გარიგებაში» არსებულ ერთ ცნობას, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

სწორედ სიტყვა «სპეტაკი» ესმით დღეს «თეთრი» ფერის მნიშვნელობით [მუსხელიშვილი 1997: 62; მუსხელიშვილი 2007ბ:442]. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ძველად იგი მხოლოდ «თეთრს» არ აღნიშნავდა. მაგალითად:

«აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ **ყანები**, რამეთუ **სპეტაკ არიან** სამკალად აწვე» – ვკითხულობთ იოანეს სახარებაში (4,35)[5]. პურის ყანა, რა თქმა უნდა, არ არის თეთრი, იგი არის ჩალისფერი, მზისფერი. შესაბამისად, გამორიცხულია, რომ «სპეტაკი» აქ თეთრ ფერს აღნიშნავდეს. მართლაც, «λευκός» («ლეუკოს»)–ს, რომელიც ბერძნულ სახარებაში «სპეტაკის» შესატყვისს წარმოადგენს, «თეთრის» გარდა აქვს ასევე სხვა მნიშვნელობა – «ბრწყინვალე» [ჯონსი 1825: 766; ლიდელი, სკოტი 1883: 887; მილერი, ბურერი 2008: 49, 132; დანკერი, კრიუგი 2009: 215; ვეისმანი 1899: 757].

«ხოლო მანანაჲ იყო **ვითარცა თესლი ქინძისაჲ სპეტაკ**» (რიცხვთა 11,7), «ვითარცა **ქინძის მარცუალი სპეტაკი**»

---

[4] . სტეფანოზის თხზულების სხვადასხვა თარგმანი არსებობს. ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან [სილაგაძე, ჯაფარიძე 1999: 15], რაც აიხსნება იმით, რომ ძველი სომხური ენა რთულია სათარგმნელად. ამიტომ ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ ძველ სომხურ ტექსტს, სადაც წერია «սպիտակ» («სპიტაკ»)–ი [ცაგარეიშვილი 1978: 120].

[5] . ამ ადგილზე სომხურ სახარებაშია «սպիտակ» («სპიტაკ»).

(გამოსლვ. 16,14) – ვკითხულობთ ძველი აღთქმის წიგნებში. ქინძის მარცვალი, როგორც ცნობილია, ასევე არ არის თეთრი, იგი ოქროსფერია. ამრიგად, ზეციური მანანას შემთხვევაშიც, გამორიცხულია, «სპეტაკი» «თეთრის» აღმნიშვნელი იყოს.

მაშ რას აღნიშნავს იგი?

«**სპეტაკცა** იყო მანანაჲ, რამეთუ **ნათელ არს სიტყუაჲ იგი და ბრწყინვალე**» – ვკითხულობთ გელათურ კატენებიან ბიბლიაში [გიგინეიშვილი, თოდუა 2010: 348].

ამრიგად, აშკარაა, «სპეტაკის» ერთ–ერთი მნიშვნელობა არის «ბრწყინვალე». მაგრამ, რას აღნიშნავს ეს სიტყვა დიდი გორგასლიანი დროშის შემთხვევაში?

ვფიქრობთ, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც «სპეტაკი» «ბრწყინვალეს» აღნიშნავს და არა «თეთრს». მაგალითად, «ხელმწიფის კარის გარიგებაში» პირდაპირ წერია ამ დროშის შესახებ, რომ იგი იყო «მნათობი», ესე იგი «ბრწყინვალე» [6]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დიდი გორგასლიანი დროშის სისპეტაკეს მასზე არსებული ოქრომკედის ბრწყინვალება განაპირობებდა.

რის საფუძველზე ვფიქრობთ ასე?

როგორც ცნობილია, ძველად საქართველოში ოქრომკედით ამკობდნენ ისეთ საკულტო და სარიტუალო დანიშნულების მქონე ნივთებს, როგორიცაა კრეტსაბმელი, ოდიკი, დაფარნა, გარდამოხსნა; ასევე ოქრომკედით იმკობოდა სამღვდელო შესამოსელი – ფილონი, ოლარი, ომფორი,

---

[6]. «**დიდი დროშა**, დაბარჩმანი ორნი თავგადაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა, **ესე ყოველნი მნათობნი**, მოჭედილნი ვერცხლითა და სპილენძიანი» [დოლიძე 1965: 87]. შდრ. «**დროშა მნათობი**, ვით ჴელმწიფეთა წესია» [აბულაძე და სხვები 1934: 278].

საბუხარეები, ენქერი, სარტყელი, მიტრა [ზარათაშვილი და სხვები 2011]; რაღა თქმა უნდა, ოქრომკედი ამშვენებდა მეფეთა და დედოფალთა სადღესასწაულო შესამოსელს.

ამასთან, გვაქვს პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ ძველად საქართველოში დროშებსაც ამკობდნენ ოქრომკედით. მაგალითად, ცნობილია, რომ იმერეთის მეფე გიორგის დროშა იყო ხალასად ნაკერი, ანუ სუფთა ოქროს ძაფით მოქარგული[7]. ლეჩხუმის ხატის წარწერა კი გვაუწყებს, რომ ქაიხოსრო კუჭაიძემ ოქრომკედით შემკობილი დროშა შესწირა ეკლესიას[8]. ამრიგად, თუკი ქაიხოსრო კუჭაიძეს ჰქონდა იმის საშუალება, რომ ოქროს ძაფით მოქარგული დროშა შეეწირა ეკლესიისთვის, გასაკვირი სწორედ ის იქნებოდა, ქართველ გვირგვინოსნებს ქვეყნის მთავარი სიმბოლო, ეროვნული დროშა, ოქრომკედით არ შეემკოთ.

როგორც ცნობილია, ძლევამოსილი ქართველი მეფეები გამოირჩეოდნენ თავისი სიმდიდრით. ვახტანგ გორგასალმა, მაგალითად, ოქროს ჩაბალახი დაამზადა მგლისა და ლომის

---

[7] . ილორის ხატის წარწერა გვაუწყებს: «შევსწირეთ წალენჯიხას მეფისა **ქაიანური დროშა**, ჯუარი **ხალასად შეკერული ალმითა**» [ზარნაველი 1953: 49]. შდრ. «**ქაიანურსა დროშასა** ოქროთ მოსჭედეს ტარია. ალამი ტურფად მოკაზმეს, – ლალ–მარგალიტის გვარია» [აბულაძე 1916: 65]. «ქაიანური» სპარსული სიტყვაა და «სამეფოს» ნიშნავს [ზარნაველი 1953: 49; კობიძე 1974: 645], ხოლო «ხალასად ნაკერს ოქრომკერდით ნაკერს უჴმობენ» [აბულაძე 1993: 414].

[8] . «ჩვენ კუჭაიძემან ქაიხოსრო შემოგწირე ხატი, მაცხოვარო მულახისაო, და ბუკი კარგი. შეიწყალე შენს მადლსა, ამინ. სხუაჲ **დროშა** ესე **ოქროქსოვილის ხავერდისა** შეიწირე და გა[გ]ვიმარჯვე» [თაყაიშვილი 1937: 257].

გამოსახულებით[9]. ხოლო დავით აღმაშენებელი წერს: «...ოქროჲ, ვითარ თიჴაჲ უბნისაჲ, ვიუნჯენ» [თევზაძე 1989: 25. შდრ. ეკლესიასტე 2,8]. აღარაფერს ვამბობთ მეფე თამარზე.

ამრიგად, საფუძველსმოკლებული არ იქნება, თუკი ვიფიქრებთ, რომ გორგასლიანი დროშის სისპეტაკეს სწორედ მისი ოქრომკედის ბრწყინვალება განაპირობებდა. ოქრომკედი კი, როგორც ცნობილია, არის მზისფერი, ანუ ჩალისფერი. ასე რომ, სწორედ ასეთი ფერი უნდა ჰქონოდა დიდ გორგასლიან დროშას.

ამასთან, ამ ტონალობის ფერები (ბაცი ყვითელი, ანუ ოქროში გარეული ვერცხლისფერი, იგივე ჩალისფერი) სულაც არ იყო უცხო ქართული სიმბოლიკისთვის. მაგალითად, ჩალისფერია ამილახვრიანთ საომარი დროშა (ერთიანი საქართველოს დროინდელი) – შერჩენილი ალმის ნაშთი არის «ოქროსფერი ყანაოზისა» [ბარნაველი 1953: 21]; ბრჭყვიალა ყვითელი არის წმიდა კვირიკეს დროშის ალამი [ბარნაველი 1953: 21]; ჩალისფერია სვანეთის დროშა ლემი [ბარნაველი 1953: 29]; თიხისფერი თუ ჩალისფერია, ვახუშტის ატლასის მიხედვით, გვიანდელი პერიოდის საქართველოს დროშა, რომლის ერთ მხარეს წმიდა გიორგი, მეორე მხარეს მთავარანგელოზი მიქაელი იყო გამოსახული [ბაგრატიონი 1997: 3][10]; ყვითელი, უფრო

---

[9] . «ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანით ლომი» [ანთელავა, შოშიაშვილი 1996: 164].

[10] . ეტყობა მეცნიერები ფიქრობენ, რომ ვახუშტის ატლასში სიძველის გამო ფერები გადასულია და გახუნებული. ამიტომ ზოგიერთ გამოცემაში ეს დროშა მოყვითალო ოქროსფერით არის აღდგენილი [ასათიანი 1996: 41; მეტრეველი და სხვები 2003: 564; რამიშვილი 2010: 95; ბაგრატიონი 1991: 9], ზოგიერთში კი წითლით [გამსახურდია და სხვები 1990: 25; კლდიაშვილი 1997: 39; კლდიაშვილი 2008: 40].

სწორად, რბილი, სასიამოვნო მოოქროსფერო ჩალისფერი აქვს ასევე მეფე გიორგი მეთორმეტის საუფლისწულო დროშას [ბარნაველი 1953: 61, 88–89].

ამრიგად, არაფერი მოულოდნელი და დაუჯერებელი არ არის იმაში, რომ დიდი გორგასლიანი დროშა ასევე მზისფერი, ანუ ჩალისფერი ყოფილიყო.

როგორც ჩანს, სწორედ ზემოხსენებული ძველი ქართული დროშების ჩალისფერი სისპეტაკით იყვნენ შთაგონებული ჩვენი პოეტები, როდესაც წერდნენ:

«ბრძოლის ველზე მიდიოდნენ რაინდული ოცნებით,
მიდიოდნენ და მიჰქონდათ ჩალისფერი დროშები»
[ასათიანი 1979: 22].

...

«ეს ქართველთა ჯარი არის
თუ უღრანი ხეთა,
ეს ნისლია ჩვენებური –
მზესავით რომ მოჩანს,
თუ ქართველთა ძველებური
ჩალისფერი დროშა.
ვისკენ მოაქვთ ეს ალმები,
ვის უხდიან ჩაჩქანს.
ეს – თამარი ესალმება
საქართველოს ლაშქარს»
[ასათიანი 1979: 16].

...

«შუა გადამტყდარა ხმალი, ჩალმის მტერი,

მაგრამ არ წამხდარა დროშა ჩალისფერი!..»

[ნიშნიანიძე 1990: 35].

...

«მიწავ ძველისძველო, შეგთხოვ, მაპატიო,
თუ ვერ შეგეშველე იმ საშინელ დროში,
თუ ვერ მოვკვდი შენი ჩალისფერი დროშით».

[ნიშნიანიძე 1990: 35].

და მაინც, რატომ ჩალისფერი? რატომ უნდა შეერჩია მეფე ვახტანგ გორგასალს ქვეყნის მთავარი დროშისთვის ეს ფერი? ჩალისფერის საღვთისმეტყველო მნიშვნელობას ჩვენ შევეხებით ქვემოთ, როდესაც ვისაუბრებთ დროშაზე არსებული სიმბოლოების შესახებ.

დროშაზე არსებული გამოსახულების შესახებ

სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, საქართველოს სეფე დროშაზე გამოსახული იყო წითელი ნიშანი [ცაგარეიშვილი 1978: 38; სილაგაძე, ჯაფარიძე 1999: 15]. მაგრამ რას წარმოადგენდა ეს ნიშანი?

წერილობითი წყაროები, ერთი შეხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. მათი ერთი ნაწილი ასახელებს ჯვარს, ხოლო მეორე ნაწილი – წმიდა გიორგის.

მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონი წერს, რომ ქართველი მეფეები თავის დროშებსა და გერბებზე ყოველთვის

გამოსახავდნენ წმიდა გიორგის[11].

და მართლაც, წმიდა გიორგის გამოსახულება გვხვდება მეფე გიორგი მესამის ბეჭედზე [ბარნაველი 1965: ტაბ. XI][12], გურიის მთავართა დროშაზე [ბარნაველი 1953: 68–69], მეფე სოლომონ პირველის დროშაზე [ბარნაველი 1953: 58], გვიანდელი პერიოდის საქართველოს დროშაზე (ვახუშტის მიხედვით) [ბაგრატიონი 1997: 3], ქართლ–კახეთის დიდ სამეფო გერბზე [კლდიაშვილი 2000: 86–87; ჯავახიშვილი 2008: 152, 153], ერეკლე მეორის დროშაზე [ჯანაშვილი 1917], ქიზიყის მოურავის დროშაზე[13], ქართველ ცხენოსანთა ლაშქრის დროშაზე [ვადბოლსკი 1980: 36] ...

თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვების სისწორე ასევე დასტურდება XIV-XVIII საუკუნეების ათამდე დასავლელი ავტორის მიერ, რომელნიც წმიდა გიორგის გამოსახულებიანი ქართული დროშების შესახებ წერენ [სილაგაძე 2003; თვარაძე 2004: 96; მუსხელიშვილი 2007ა: 138; მუსხელიშვილი 2007ბ: 436–437].

ამ ისტორიული ცნობების საფუძველზე ქართველ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ივარაუდა, რომ საქართველოს სეფე დროშაზე არსებული წითელი ნიშანი, შესაძლოა, იყო წმიდა გიორგის გამოსახულება [ზაქარაია და სხვები 1998; სილაგაძე, ჯაფარიძე 1999: 17].

---

[11] . «მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა ამის მთავარ–მოწამისა გიორგისასა» [ბაგრატიონი 1848: 18–19].

[12] . ივანე ჯავახიშვილი ამ ბეჭედს დიდ სასიგელე ბეჭედს უწოდებს [კლდიაშვილი 2008: 87].

[13] . «...ტილოზედ აბრეშუმის ფერადის ძაფით და ვერცხლის მკერდით ამოკერილი **წმ. გიორგის ხატი**, იგი ცხენზედ ზის და ხელში ქვეშ ვეშაპის განმგმერი შუბი უჭირავს»... [კარბელაშვილი 1904].

მაგრამ, საქმე ის არის, რომ ქართული იკონოგრაფიული ტრადიციისთვის მეტისმეტად უცხო რამ არის წითელ ცხენზე ამხედრებული, წითელთმიანი და წითელსახიანი წმიდა გიორგი. წითელი ფერით, შესაძლოა, გამოსახული იყოს მისი მოსასხამი, ანდა საბრძოლო საჭურველი. მაგრამ მისი ბედაური ყოველთვის არის თეთრი. ამრიგად, გორგასლიან დროშაზე არსებული წითელი ნიშანი, გამორიცხულია, რომ ყოფილიყო წმიდა გიორგის ხატი. წმიდა გიორგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, მართლაც გამოსახული იყო სხვადასხვა ქართულ დროშებზე, მაგრამ არა დიდ გორგასლიან დროშაზე.

მაშ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს წითელი ნიშანი?

ბიზანტიელი ისტორიკოსი პახიმერი წერს, რომ ქართველები თავისი ჯვრიანი დროშით ახლდნენ ყაზან ყაენს ეგვიპტის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში [ფერაძე 1995: 35]. სირიელი ქრონისტების თანახმად, ქართველი მეფის ელჩები ჯვრიანი დროშებით სერავდნენ მუსლიმური ქვეყნების მიწებს [თვარაძე 2004: 184, 186]. ჯვრიანი დროშა ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგაც ჰქონდა შენარჩუნებული ქართლის სამეფოს, როგორც მის ძირითად სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს. მაგალითად, ცნობილია, რომ მეფე სიმონ პირველის დროსაც (1556–1600 წწ.) ქართლს ჯვრიანი დროშა ჰქონდა [ტაბაღუა 1999]. შემდგომში, კერძოდ 1632 წლიდან, სპარსეთისა და ოსმალეთის მოძალების შედეგად, როგორც ცნობილია, ქართლს გამუსლიმებული, ანდა ფარული ქრისტიანი ბაგრატიონები მართავდნენ [ლორთქიფანიძე 2006: 478]. მათ დროშებზე

ოფიციალურად ისლამური სიმბოლიკა უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი[14]. ამგვარმა ვითარებამ საუკუნეზე ცოტა მეტ ხანს გასტანა. ხოლო, როგორც კი ქართლის სამეფო ტახტი ისევ ქრისტიანმა ბაგრატიონებმა დაიბრუნეს, მათ მალევე აღადგინეს ძველებური ჯვრიანი დროშები. მაგალითად, პაპუნა ორბელიანის ცნობით, ძველად წესი იყო, დროშაზე დიდი ჯვარი უნდა ყოფილიყო გამოსახული (დროშა «ჯვრითა მოცული» უნდა ყოფილიყო). სწორედ ასეთი ოთხი დროშა შეკერეს 1745 წელს მეფე თეიმურაზ მეორის ბრძანებით[15].

ზემოხსენებული ისტორიული ცნობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პახიმერის სიტყვები. მას ავსებენ დასავლელი პილიგრიმები. საბოლოო ჯამში ჩვენთვის ცნობილია, რომ 1299 წელის 16 ოქტომბერს მონღოლთა ხანმა ყაზანმა თავრიზიდან გაილაშქრა ეგვიპტელების წინააღმდეგ. მასთან

---

[14] . თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს ქართლში ქრისტიანული დროშები საერთოდ აღარ იყო. მაგალითად, ცნობილია, რომ როსტომ–ხანმა ჯვრიანი დროშა გააკეთებინა წმ. სტეფანე ხირსელის სახელზე. «მეფეთ–მეფემან პატრონმან როსტომ, გავაკეთებიე დროშა ესე ჯიზი–ყისა[,] სახელსა ზედან ხირსას წმიდის სტეფანისა...» [კარბელაშვილი 1904; ბარნაველი 1953: 53].

[15] . «ბრძანა მეფემ (თეიმურაზ მეორემ – გ.მ.) დროშათა გაკეთება, გააკეთეს **ვითარცა ძველად რიგი ყოფილა**, **დროშა ოთხი, ჯვრითა მოცული**. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე – მუხრანბატონს კონსტანტინეს, მესამე – ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონის (მეფის – გ.მ.) კერძო ვლიდა» [ცაგარეიშვილი 1981: 102]. მართალია ამ დროშებს გარკვეულწილად ისლამური სპარსული კულტურის გავლენა ეტყობოდა [ბარნაველი 1953: 51], მაგრამ მათზე მაინც ქართული ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო – დიდი ჯვარი იყო გამოსახული.

გაერთიანებული იყვნენ მეფეები სომხეთისა (ჰეთუმისა / კილიკიისა), საქართველოსი და კვიპროსისა [ფერაძე 1995: 35; მუსხელიშვილი 1998].

ამრიგად, ჩვენ ვგებულობთ, რომ ერთიანი საქართველოს მეფე [16], პირადად იღებდა მონაწილეობას ეგვიპტელთა წინააღმდეგ მოწყობილ კოალიციურ ლაშქრობაში. ამავე დროს, ჩვენი მატიანეებიდან დანამდვილებით ვიცით, რომ დიდ ლაშქრობებში ქართველ მეფეებს, როგორც წესი, გორგასლიანი დროშა გამოჰქონდათ ხოლმე ბრძოლის ველზე.

ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ქართველთა «ჯვრიანი დროშა», რომლის შესახებაც წერს პახიმერი, არის სწორედ დიდი გორგასლიანი დროშა. შესაბამისად, ამ დროშაზე არსებული «წითელი ნიშანი», რომლის შესახებაც გვაუწყებს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი, აშკარაა, აღნიშნავს წითელი ფერით გამოსახულ ჯვარს. უფრო მეტიც, თითონ სიტყვა «նշան» («ნშან») «ნიშანი» ძველ სომხურში «ჯვარსაც» აღნიშნავს [მუსხელიშვილი 2007ა: 134; აჭარიანი 1987: 501]. მაგალითად, «სურბ ნშან» ითარგმნება, როგორც «წმიდა ჯვარი». ამრიგად, საისტორიო წყაროთა შეჯერებით დგინდება, რომ დიდ გორგასლიან დროშაზე გამოსახული იყო წითელი ფერის ჯვარი.

---

[16]. მიჩნეულია, რომ ეს იყო ვახტანგ მესამე [ფერაძე 1995: 35].

მაგრამ რა ფორმის იყო ეს ჯვარი?

დასავლურ ძველ საზღვაო რუკებზე (პორტოლანებზე) დაკვირვების შედეგად ქართველ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს იყო იერუსალიმურის მსგავსი ხუთჯვრიანი კომპოზიცია [17]. არსებობს სხვა შეხედულებებიც. მაგრამ,

---

[17]. დასავლურ პორტოლანებზე გამოსახული დროშები ჩვენში 1980–იანი წლებიდან გახდა ცნობილი [მუსხელიშვილი 1997: 62–63; თვარაძე 2004: 97–98; ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა 2004]. სულ 180 ძველი პორტოლანია შემორჩენილი [თვარაძე 2004: 246]. რვა მათგანზე საქართველოს თავზე გამოსახულია ხუთჯვრიანი სიმბოლიკა [თვარაძე 2004: 285, 353]. ეს სიმბოლიკა ასევე წარმოდგენილია ისეთ მიწებზე, რომლებიც არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენლობაში, რასაც მეცნიერები სხვადასხვაგვარად ხსნიან [თვარაძე 2004: 255, 257; ლორთქიფანიძე 2006: 476; მუსხელიშვილი 2007ა: 135, 137, 138; მუხსელიშვილი 2007ბ: 434]. მაგალითად, თურქეთის ქალაქ სებასტიის თავზე გამოსახული ხუთჯვრიანი სიმბოლიკის საქართველოსთან დაკავშირებას ცდილობს ზოგიერთი ჩვენი მეცნიერი მაშინ, როცა დასავლეთში ამ ფაქტის რადიკალურად განსხვავებული მიზეზი არის ცნობილი [მაკკანდლესი, გროსვენორი 1917: 392; ალმონდი 2009: 5, 130]. ამავე დროს საქმეს ართულებს ის, რომ დასავლური ისტორიოგრაფია უბრალოდ საერთოდ არ იცნობს ხუთჯვრიან ქართულ ისტორიულ დროშას. ეს მეტად უცნაურია – დასავლეთევროპელებმა შექმნეს ეს რუკები; მათვე შემოინახეს ისინი ასწლეულების მანძილზე თავის არქივებსა და წიგნთსაცავებში; ათასობით და ათიათასობით სამეცნიერო პუბლიკაცია, მათ შორის სქელტანიანი მონოგრაფიები, მიუძღვნეს ამ რუკების შესწავლას და მათ შორის ჩვენმა მეცნიერებმა დღემდე ვერ მონახეს ვერც ერთი შემთხვევა, სადაც ხუთჯვრიანი დროშის ქართულობის შესახებ იქნებოდა დაწერილი. რა თქმა უნდა, დასავ-

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზიარებთ საქართველოს პატრიარქის აზრს. მისი უწმიდესობის სიტყვით, «ჩვენთან არსებობდა ვახტანგ გორგასლისეული დროშა, რომელზეც ერთი ჯვარი იყო გამოსახული» [ღუდუშაური–შიოლაშვილი 1999]. ამასთან, ფორმით ეს უნდა ყოფილიყო ტოლმკლავა, წრეში ჩასმული ჯვარი, რომელიც ჩვენში ცნობილია ბოლნური ჯვრის სახელით.

რის საფუძველზე ვფიქრობთ ასე?

როგორც ცნობილია, ძველ იბერიაზე ძალიან დიდი პოლიტიკური და კულტურული გავლენა ჰქონდა სპარსეთს.

ლეთში ქართველებზე გაცილებით უკეთ იციან, რა სიმბოლოები არის გამოსახული მათსავე რუკებზე. ამავე დროს, დასავლეთევროპელე–ბისთვის შუა საუკუნეებში ცნობილი იყო ათამდე ქვეყანა, რომელთაც ხუთჯვრიანი დროშები ჰქონდათ და მათ შორის საქართველო არ იხსენიება [თვარაძე 2004: 295; კლდიაშვილი 1997: 30]. ევროპელმა მეცნიერებ–მა ასევე დანამდვილებით იციან, თუ რა მიზეზების გამო არის ძველ საზღვაო რუკებზე ჯვაროსნული და დასავლეთევროპული დროშები მიმობნეული აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტების ცალკეულ ტერიტორიებზე [თვარაძე 2004: 247; კარბონი 2007: 310; ვიტფილდი 1996: 51; ედსონი 2007: 36, 68, 95, 187; სანდერსონი 1973: 19; ...]. როგორც ჩანს, საქართველოსთან დაკავშირებითაც ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, ისე ნაჩქარევად მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო დროშის შესახებ, რომ ქართველ მეცნიერებს მოცემული საკითხები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სათანადოდ შესწავლილი [თვარაძე 2004: 254; ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა 2004].

ამიტომ, ჩვენში უძველესი დროიდან გავრცელებული იყო სპარსული და მისი მსგავსი სიმბოლიკა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო სარწმუნოებად, ქართლში სპარსული წარმართული სიმბოლიკის ადგილს სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ქრისტიანული ჯვარი.



ქართულ–სასანური მონეტები

ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს VI–VII საუკუნეთა მიჯნაზე მოჭრილი ქართულ–სასანური მონეტები. ამ მონეტებზე გამოსახულია საკურთხეველი, რომელზეც უწინ მაზდეიანური ცეცხლი გიზგიზებდა, შემდგომში კი ქრისტიანული ჯვარი აღიმართა [ვადბოლსკი 1980: 30; მუსხელიშვილი 1996; მუსხელიშვილი 1997: 63–64; რამიშვილი 2010: 32, 57; დონდუა, დონდუა 2006: 271, 282]. ამავე დროს, ზოგიერთმა წარმართულმა სიმბოლომ შეიცვალა თავისი ძველი მნიშვნელობა და ქრისტიანული შინაარსის გამომხატველი გახდა. ამრიგად, ადრეულ

ქრისტიანულ სიმბოლიკას საქართველოში გარკვეული გარეგნული მსგავსება აქვს ძველი აღმოსავლეთის ცალკეულ წარმართულ სიმბოლოებთან. ერთ–ერთი ასეთია, მაგალითად, ტოლმკლავა წრეში ჩასმული ჯვარი.

ტოლმკლავა ჯვრები ძველი ხეთებისა და შუმერების სიმბოლიკაშიც გვხვდება [ვადბოლსკი 1980: ტაბ. 118, 127]. წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრები ძველ ბაბილონელ მოგვებსაც ჰქონდათ [ვადბოლსკი 1980: ტაბ. 133]; ქართველთა ტომებს, როგორც ცნობილია, ურთიერთობები ჰქონდათ ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან. ასე რომ, ასეთი ჯვრების გამოსახულებებს წარმართულ საქართველოშიც ვხვდებით [მუსხელიშვილი 2007ბ: 440–441; ვადბოლსკი 1980: ტაბ. 19]. შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ უამრავი ფორმის ჯვარს შორის სწორედ წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი გაითავისა ყველაზე მეტად ადრექრისტიანულმა ქართულმა კულტურამ.



ძველი აღმოსავლეთის ხალხთა დროშები [ვადბოლსკი 1980: ტაბ. 273]
დროშის გამოსახულება ქერქუკის საგეჭდავზე [ბარნაველი 1953: ტაბ. 1]
ხეთების საკულტო დროშა [ვადბოლსკი 2010: 127, 163]

სპარსეთი ვახტანგ გორგასლის დროს, როგორც ცნობილია, იყო მაზდეიანური ქვეყანა, ანუ იქ იყო ცეცხლთაყვანისმცემლობა. მაზდეიანური სპარსეთის ერთ–

ერთი მთავარი სიმბოლო, ხეთების მსგავსად, ფრთოსანი მზე იყო [ვადბოლსკი 2010: 162; ბარნაველი 1953: ტაბ. 1]. აჰურა–მაზდას სპარსელები ასევე გამოსახავდნენ, როგორც წრეში ჩასმულ ფრთოსან უზენაეს წარმართულ ღვთაებას [კლდიაშვილი 2003: 35–36].

მცხეთის ჯვრის ტაძრის მთავარი შესასვლელი

მედალიონში ჩასმული ჯვარი ბოლნისის სიონიდან [ვადბოლსკი 2010: 76, 111, 163]

ამავე დროს, სწორედ წრეში ჩასმული ფრთოსანი ჯვარი არის გამოსახული მცხეთის ჯვრის ტაძრის მთავარი შესასვლელის თავზე. ხოლო ბოლნისის სიონის კედელზე გამოსახული წრეში ჩასმული ფრთოსანი ჯვარი იმეორებს უძველესი საბრძოლო დროშების ფორმას [ვადბოლსკი 1980: 17, 30]. როგორც ჩანს, სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო გორგასლის ეპოქაში ქართველთა საბრძოლო დროშები.

წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც ჩვენში ბოლნური ჯვრის სახელით არის ცნობილი, ეტყობა, მართლაც, წარმოადგენს უძველეს ქართულ ქრისტიანულ სახელმწიფო სიმბოლოს. ამას ცხადყოფს ის, რომ

ასეთ ჯვრებს საქართველოში ყველგან ვხვდებით. მაგალითად, მარტო V-VII საუკუნეებით დათარიღებულ ქართულ სტელებზე არსებული სამოცდაათზე მეტი ბოლნური ჯვრის გამოსახულება გამოაქვეყნა კიტი მაჩაბელმა [მაჩაბელი 2008]. და ეს მხოლოდ ის ქვაჯვარებია, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია. ქვის სტელები, როგორც ცნობილია, იურიდიული მნიშვნელობის ძეგლებია, რადგან ისინი ამა თუ იმ სამფლობელოს საზღვრების მოსანიშნავად გამოიყენებოდა. ამრიგად, ქვაჯვარებზე წარმოდგენილია იმდროინდელი ოფიციალური სიმბოლიკა.



უკანგორი, ბუჩურაშენი, ორსაყდრები
[ჯაფარიძე 1982: ტაბ. LXXVIII.3–5; შმერლინგი, კრავჩენკო 1954:31; თევზაია 2009: 8]

ამას დავუმატოთ ბოლნური და მისი მსგავსი ჯვრების ზღვათაუარებელი რაოდენობა, რომლებიც საქართველოში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ტაძრების ფასადებსა და ფრესკებზე[18]. ამრიგად, ცხადი ხდება – ბოლნური ჯვრის ფორმა საუკუნეების მანძილზე იმდენად შეისისხლხორცა ქართულმა კულტურამ, რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს ჩვენს ეროვნულ სიმბოლოს.

---

[18] . ქართული ტაძრების გუმბათის თაღებში, ბიზანტიისგან განსხვავებით, გავრცელებული იყო წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის გამოსახვა. მაგალითად, გავიხსენოთ ტიმოთესუბანი, ნიკორწმინდა, ხახული, იშხანი...



კიზილ–ქილისა (ძვ. ქართ. სახელი – წითელი საყდარი) [ჯაფარიძე 1982: ტაბ. XXXI]



ზემო ოროზმანი [ჯაფარიძე 1982: ტაბ. XI, LXXVIII.2]



სათხე [ჯაფარიძე 1982: ტაბ. LXXVIII.2; LVIII]



აკვანება [შმერლინგი, კრავჩენკო 1954: 29].

ზემოთ წარმოდგენილი ბოლნური ჯვრები თარიღდება V–VII საუკუნეებით. თვალში საცემია მათი საზეიმო ხასიათი. როგორც ჩანს, გორგასლის ეპოქაში ბუნზე აღმართული სწორედ ასეთი ფორმის ჭედური ჯვრები გამოჰქონდათ ქართველებს საეკლესიო და საერო დღესასწაულებზე.

აღსანიშნავია, რომ ბოლნური ჯვრების გარდა ქართულ ტაძრებზე ასევე არის ჯვრების სხვადასხვა ფორმის გამოსახულებები. ცნობილია ასევე რამდენიმე ხუთჯვრიანი გამოსახულებაც [ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა 2004; თვარაძე 2004: 115; მუსხელიშვილი 2007ბ: 439–440] (მის მსგავს შვიდჯვრიან გამოსახულებასაც ვხვდებით გოკიოს ნაეკლესიარზე [მეტრეველი 2010: 32]).

ბოჭორმა

მატანის ცხრაკარა

მაგრამ ეს ხუთჯვრიანი გამოსახულებები ზუსტად არ იმეორებენ არც დასავლურ პორტოლანებზე გამოსახული სიმბოლიკის ფორმას, არც ერთმანეთისას. მიუხედავად ამისა, მათ მაინც აქვთ საერთო – ისინი არ გამოირჩევიან შესრულების მაღალი დონით. ამიტომ, უბრალოდ დაუჯერებელია, ისინი ქართველ მეფეთა და პატრიარქთა დიდოსტატების ნახელავი იყოს, რომელთა შედევრები დღესაც აოცებს მნახველს. და კიდევ, ხუთჯვრიან სიმბოლიკას საქართველოში არსად

ვხვდებით დიდ საკათედრო ტაძრებში, სადაც იმართებოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცერემონიები, სადაც ხდებოდა მეფეთა კურთხევა, სადაც იკრძალებოდნენ სამეფო ოჯახის წევრები. ამრიგად, თუ შევადარებთ ერთმანეთს საქართველოში არსებულ ხუთჯვრიან გამოსახულებებსა და ბოლნურ ჯვრებს, ცხადი გახდება, რომ სახელმწიფო და ეროვნული სიმბოლოს სტატუსი ჩვენში სწორედ წრეში ჩასმულ ბოლნურ ჯვარს ჰქონდა და არა ხუთჯვრიან სიმბოლოს.

წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი გორგასლიანთა შემდგომ ბაგრატიონ გვირგვინოსანთა ოფიციალურ სიმბოლიკაშიც გვხვდება.

დავით კურაპალატის მოსახსენებელი წარწერა ოთხთა ეკლესიიდან

დავით კურაპალატის მოსახსენებელი წარწერა ოთხთა ეკლესიიდან აშკარა მსგავსებას იჩენს უფრო ძველ ნიმუშებთან, სადაც ბოლნური ჯვარი, როგორც ოფიციალური ბეჭედი, ისე უზის ქტიტორთა მოსახსენებელ წარწერებს [შოშიაშვილი 1980: ტაბ. 2, 5, 6, 8, 9...].



ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერები

როგორც ცნობილია, ქართველი ბაგრატიონები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ისინი იყვნენ გორგასლიანთა სამეფოს სამართალმემკვიდრენი. «ბაგრატოანური» დროშა ამავე დროს არის დროშა «გორგასლიანი», ხოლო ბაგრატიონ გვირგვინოსანთა სამეფო ტახტი არის «ტახტი ვახტანგეთი» [ყაუხჩიშვილი 1959: 115–116]. ამავე დროს, ბაგრატიონ მეფეთა მოჭრილ მონეტებზეც ვხვდებით გორგასლის დროინდელი წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებებს. სამეფო მონეტებზე, რა თქმა უნდა, ოფიციალური სიმბოლიკა არის წარმოდგენილი.

დავით მესამე კურაპალატისა და ვახტანგ მესამის მონეტები

დავით აღმაშენებლის ორი მონეტა

ამრიგად, ბოლნური ჯვრები, გორგასლის ეპოქიდან მოკიდებული, იმდენად ფართოდ არის საქართველოში გავრცელებული, რომ, საფუძველსმოკლებული ნამდვილად არ იქნება, თუკი ვიფიქრებთ – სწორედ ასეთი ფორმის ჯვარი იქნებოდა გამოსახული გორგასლიან დროშაზე.

ამ აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს ისიც, თუკი დადასტურდება, რომ იმავე ეპოქაში სომეხ მარზპანთა დროშაზეც ანალოგიური ნიშანი იყო გამოსახული (ოღონდ

განსხვავებულ ფერებში) [19] . როგორც ცნობილია, მსგავს კულტურებს მსგავსი სიმბოლოები აქვთ. მაგალითად, თუნდაც, სკანდინავიის ქვეყნების დროშები გამოდგება.

დაბოლოს, აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საინტერესო ისტორიული ცნობის შესახებ, რომელიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს გორგასლიან დროშასა და მასზე გამოსახულ ჯვარს. ჯუანშერი გვაუწყებს ვახტანგ გორგასლის სიზმრისეული გამოცხადების შესახებ: «მოიხილა ვახტანგ და იხილა **ჯუარი, რომელსა ფრთეთა მისთა ზედა აქუნდა გჯრგჯნი**» [ყაუხჩიშვილი 1955: 168]. ეს ფაქტი ნამდვილად შეიძლებოდა გამხდარიყო დიდ გორგასლიან დროშაზე ჯვრის გამოსახვის მიზეზი, ისევე, როგორც ეს მოხდა მოციქულთასწორ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს [20]. ხოლო გვირგვინით გამშვენებული ჯვარი, რომელიც ვახტანგ მეფემ იხილა, შესაძლოა, ფორმით, მართლაც, ბოლნური ჯვარი იყო. როგორც ცნობილია, ქართული იკონოგრაფიული ტრადიციისთვის მეტად ბუნებრივია ჯვრის ფრთებზე (ანუ

---

[19] . მაგალითად, ბაბესიანის მიხედვით ეს იყო ლურჯი ფერის ალამზე გამოსახული ოქროსფერი ჯვარი («ისტორიული სომხეთის ატლასი»), ხოლო დემოიანის მიხედვით ეს იყო მუქ წითელ ფონზე გამოსახული ოქროსფერ დისკოში ჩასმული ჯვარი («სომხური დროშები და გერბები»). ორივე ვარიანტში ჯვარი არის ტოლმკლავა და წრეში ჩასმული. იმედია, ჩვენი არმენოლოგები დაინტერესდებიან და გამოარკვევენ, რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი ისტორიულ სინამდვილეს.

[20] . როგორც ცნობილია, მირიან მეფემაც იხილა ციდან ჩამომავალი ცეცხლოვანი ჯვარი [კლდიაშვილი 2008: 99]. ასე რომ, ჯვარი საქართველოს დროშაზე, შესაძლოა, მირიან მეფის დროიდანაც იყო გამოსახული.

მკლავებზე) წრიული ფორმის გვირგვინის (ანუ სიწმიდის შარავანდედის) გამოსახვა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, გორგასლიან დროშაზე, ყველაზე მეტად საფიქრებელია, რომ სწორედ წრიული ფორმის გვირგვინით გამშვენებული ბოლნური ჯვარი იყო გამოსახული. ამასთან, გვიანდელი ცნობის თანახმად, ეს ჯვარი დიდი ზომის უნდა ყოფილიყო. ჩვენ ზემოთ უკვე დავიმოწმეთ პაპუნა ორბელიანის ცნობა იმის შესახებ, რომ ძველად დროშა «ჯვრითა მოცული» იყო [ცაგარეიშვილი 1981: 383]

დროშაზე არსებული წარწერის შესახებ

ძველად მიღებული იყო დროშებზე წარწერების გაკეთება. წარწერები ძირითადად სარწმუნოებრივი შინაარსისა იყო, შესრულებული, უმეტესწილად, დაქარაგმებული ასომთავრულით. გვხვდება ასევე მხედრულით შესრულებული წარწერებიც, რაც, რა თქმა უნდა, უფრო გვიანდელია. ამასთან, წარწერები ამკობდა არა მარტო დროშებს, არამედ დროშის ტარებსა და ბუნიკებს. ამას მოწმობს შემორჩენილი ძველი ქართული დროშები და მათი ნაშთები.

ქართულ დროშებზე მიღებული იყო ფსალმუნის მუხლების წარწერა. მაგალითად, 34–ე ფსალმუნის სიტყვები, «საჯენ, უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა...», გვხვდება ვახტანგ მეექვსის დროშაზე [ბარნაველი 1953: 53, 55] და ერთი ძველი დროშის ბუნზე [ბარნაველი 1953: 50–51; თაყაიშვილი 1913–1914: 283] [21] . ფსალმუნის სიტყვები წარწერილია ასევე

[21] . თუ სწორად მახსოვს, სწორედ 34–ე ფსალმუნის ეს სიტყვები იყო წარწერილი ტრაპიზონში წმ. მეფე სოლომონ მეორის საფლავზეც.

ახალციხის მუზეუმში დაცულ საბრძოლო შუბისპირზეც, რომელსაც უწინ სამეფო დროშის ბუნიკის დანიშნულება ჰქონდა [ბარნაველი 1953: 51, ტაბ. XVIII].

დროშებზე ფსალმუნების გარდა სხვა სადიდებელ–სავედრებელი ლოცვების წარწერაც ხდებოდა. მაგალითად, საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თამარის ბრძანებით ღმრთსმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკო წააწერეს ხალიფას დროშას [ანთელავა, შოშიაშვილი 1996: 353–354; ბარნაველი 1953: 80].

მოკლედ, სარწმუნოებრივი შინაარსის წარწერების გაკეთება დროშებზე ძველად მეტად გავრცელებული იყო. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ გორგასლიან დროშაზეც უსათუოდ იქნებოდა ასეთივე შინაარსის წარწერა. მაგრამ საისტორიო წყაროებს ამის თაობაზე ცნობები არ შემოუნახავთ. ამის გამო ჩვენ, შეუძლებელია, რამე ვიცოდეთ დანამდვილებით.

ვარაუდის სახით კი შეგვიძლია დავუშვათ, რომ დროშაზე გამოსახულ ჯვარს, შესაძლოა, ჰქონოდა ისეთივე წარწერა, რომელიც გავრცელებულია მართლმადიდებელ აღმოსავლეთში. ეს არის ლათინური «IC XC NIKA»–ს ქართული შესატყვისი: «იესო ქრისტე – ძლევაᲘ».

გელათის ღმრთისმშობლის შობის ტაძრის ჩრდ–აღ. ეგვტერის ფრესკა

ასეთი შინაარსის დაქარაგმებული წარწერები საქართველოში ბევრგან გვხვდება. მაგალითად, გელათის

ფრესკებზე [თუმანიშვილი და სხვები 2007: ტაბ. 84], პეტრიწონის გუმბათის ჯვარზე [შანიძე 1971: 385; ისაკაძე და სხვები 2001: 32], თეიმურაზ პირველის სამეფო ბეჭედზე [ბარნაველი 1965, ტაბ. VIII.3], საგარეჯოს ნინოწმიდის ეკლესიის დაფარნაზე [ბარათაშვილი და სხვები 2011: 134–135], ალავერდის 1054 წლის ოთხთავის მინიატურაზე [გაბელია 2005: 171]...

დროშის ბუნიკის შესახებ

სვანეთის დროშის თავი

ქართული დროშების ბუნზე ძველად მაგრდებოდა ჯვარი ან შუბის პირი. «შუბი სეფე ალმითა» მოიხსენება «ხელმწიფის კარის გარიგებაშიც» [სურგულაძე 1993: 22].

სადროშე შუბისპირი ზოგ–ჯერ იყო დეკორატიული, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული და მოჭედილი [ბარნაველი 1953: ტაბ. VIII, IX], ზოგჯერ კი ნამდვილი, საბრძოლო [ბარნაველი 1953: ტაბ. XVIII, XXIV]. მაგრამ ყველაზე ხშირად ქართული დროშის ბუნიკებად ჯვრები გამოიყენებოდა [ბარნაველი 1953: 50].

როცა დროშის ბუნს ჯვარი აბოლოვებდა, იგი დამაგრებული იყო ბუშტზე. ბუშტი და მასზე აღმართული ჯვარი იყო ძვირფასი ლითონის ან ბროლის. მაგალითად, წმიდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის დროს კახეთის სამეფოს დროშის ბუნზე დამაგრებული იყო ბროლის ჯვარი [ბარნაველი 1953: 95]. ცნობილია ასევე, რომ, თამარის დროს,

როცა საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო, მის ყმადნაფიც მუსლიმურ ქვეყნებსაც თავისი დროშების ბუნებზე ჯვრები ჰქონდათ აღმართული [ჯავახიშვილი 1984: 13; ბარნაველი 1953: 51; მუსხელიშვილი 1998].

ძველი დროიდან შემორჩენილია ასევე დროშის ბუნზე დასამაგრებელი ჭედური ხატები, რომელთაც, როგორც ჩანს, დაბარჩამები ერქვა. ასეთებია, მაგალითად, რუსუდან დედოფლის (თამარ მეფის მამიდის) დროშის თავი, მაღალაძიანთ დროშის თავი, კონსტანტინე მუხრანბატონის დროშის თავი, ამილახვრიანთ საომარი დროშის თავი [ბარნაველი 1953: ტაბ. IV, V, VI, XXVIII, XXIX; ვადბოლსკი 2010: 112, 117, 182].



დროშის ბუნზე დასამაგრებელი ჭედური ხატები (დაბარჩამები)

ორი «თავგადაჭედილი» დაბარჩამი დიდ დროშასთან ერთად ასევე მოიხსენიება «ხელმწიფის კარის გარიგებაში». ამრიგად, თუ «დაბარჩამი» ნამდვილად დროშის ბუნზე დასამაგრებელ ჭედურ ხატს აღნიშნავს, მაშინ დიდ გორგასლიან დროშას ორი ბუნიკი ჰქონია – ერთი თეთრი და ერთიც შავი. შავი ფერის ჭედური დაბარჩამი დროშას

უკეთდებოდა გლოვის დროს (მაგალითად, როცა მეფე, სამეფო ოჯახის წევრი ან პატრიარქი გარდაიცვლებოდა) ანდა მძიმე მარხვის დღეებში. დღესასწაულებზე კი დიდი გორგასლიანი დროშის ბუნზე მაგრდებოდა თეთრი, ვერცხლის დაბარჩამი. მაგრამ, რაკიღა დაბარჩამის მნიშვნელობა ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუდგენელია, ეს მხოლოდ ვარაუდია.

ამრიგად, გორგასლიანი დროშის ბუნიკი, შეგვიძლია ვიფიქრით, ან ჯვარი იყო, ან შუბისპირი ანდა დაბარჩამი.

ნაწილი მეორე
დროშასთან დაკავშირებული ტრადიციები

გორგასლიანი დროშა, როგორც ერთ–ერთი უმაღლესი სახელისუფლებო სიმბოლო

ძველად ქართველებს უამრავი დროშა ჰქონდათ. პირადი, უფლისწულობისდროინდელი, დროშები ჰქონდათ მეფეებს [ბარნაველი 1953: 87], თავისი დროშები ჰქონდათ ცალკეულ საფეოდალოებს, არსებობდა ასევე საბრძოლო და საეკლესიო დროშებიც [ბარნაველი 1953: 102]. მაგრამ ქვეყნის მთავარ ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენდა სეფე დროშა, ანუ დროშა გორგასლიანი.

ეს დროშა საისტორიო წყაროებში არსად მოიხსენიება მრავლობით რიცხვში. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იყო ერთადერთი. მართლაც, სეფე დროშის ფლობის უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა. მეფე გადასცემდა ამ დროშას თავისი

ტახტის მემკვიდრეს [22]. ამრიგად, საქართველოს მეფეებს ჰქონდათ ორი დროშა, ერთი - მათი პირადი, უფლისწულობისდროინდელი, მეორე – სეფე, ანუ დიდი გორგასლიანი დროშა[23]. სწორედ ეს დროშა მიუძღვოდა წინ უფლისწულს მეფედ კურთხევის დროს, როდესაც სიმბოლურად ხდებოდა მისთვის სამეფო ხელისუფლების გადაცემა.

დროშა ეროვნულ და საეკლესიო დღესასწაულებზე

ეროვნული დღესასწაულები იყო მეფის ჯვრისწერა, უფლისწულის დაბადება, მეფის კურთხევა და სხვა. ასეთ დღესასწაულებზე, როგორც წესი, იმართებოდა აღლუმები და ასპარეზობები და, რაღა თქმა უნდა, სეფე დროშაც გამოჰქონდათ[24]. ამრიგად, ყველამ, დიდმა თუ პატარამ, იცოდა როგორი იყო ეს დროშა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ არც ერთმა ქართველმა მემატიანემ, რომელთა თხზულებებიც მოღწეულია, საჭიროდ არ ჩათვალა, აღეწერა დროშა, რომელსაც ისედაც ყველა კარგად იცნობდა.

---

[22]. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ანდერძში ვკითხულობთ: «მივეც (უფლისწულ დემეტრეს – გ.მ.) დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქუეშმონი» [ჟორდანია 1897: 51; საბინინი 1882: 513].

[23]. ვახტანგ ბატონიშვილის სიტყვით, «მხედართმთავართა... აქვნდისთ დროშა თვითო და მეფესა ორი» [კაკაბაძე 1914: 3].

[24]. შდრ. «ქელმწიფე რაზმთა შუა დგას ადგილსა დროშა სვიანსა» [აბულაძე 1916: 643] «საქელმწიფოსა ასპარეზთა შინა აემართათ და სვესვიანობისა ნერგი სიცოცხლის რუს კიდესა დაენერგა...» [თოდუა 1975: 964].

მეფის კურთხევა განსაკუთრებული დღესასწაული იყო. როგორც წესი, ამ დროს ხდებოდა დიდი დროშის აღმართვა[25]. სწორედ მაშინ ტახტის მემკვიდრეს, სხვა უმაღლეს სახელისუფლებო სიმბოლოებთან ერთად, გადაეცემოდა სეფე დროშის ფლობის უფლება. მეფის კურთხევა დიდ საკათედრო ტაძარში აღესრულებოდა. ტაძრისკენ მიმავალ ტახტის მემკვიდრეს წინ მიუძღვოდა სეფე, ანუ დიდი დროშა [ჯავახიშვილი 1984: 159]. ხოლო უშუალოდ მეფის კურთხევის დროს ეს დროშა კანკელის წინ, აღსავლის კართან იყო აღმართული[26].

რაც შეეხება საეკლესიო დღესასწაულებს, «ხელმწიფის კარის გარიგებაში» წერია, რომ ამ დროშის გამობრძანება ხდებოდა ნათლისღების დღესასწაულზე[27]. ჩვენ შეგვიძლია განვაზოგადოთ ეს ცნობა და ვიფიქროთ, რომ იგივე ხდებოდა თორმეტივე საუფლო დღესასწაულზე და სხვა დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, როგორებიც არის, მაგალითად, გიორგობა, სვეტიცხოვლობა და სხვანი.

---

[25]. ბასილი ეზოსმოძღვარი გვაუწყებს თამარის მეფედ კურთხევის დროს გამართული ცერემონიალის შესახებ: «დასცეს საყჯრსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთჯს, და დადგეს სჯანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, რომელი პირველ მთოვარისა განამზადა მეფეთ–მეფემან საბაოთ ელოიმ სამფლობელოდ ზღჯთი–ზღუამდი და მდინარითგან კიდემდი სოფლისა. **აღმართეს** სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მის თანა **დროშა დავითისი**, არაოდეს მობერილი წინააღმდგმთაგან ნიავთა» [ყაუხჩიშვილი 1959: 115–116]. დავითის დროშა, რა თქმა უნდა, იგივე «გორგასლიანი» ანუ «დიდი» დროშაა.

[26]. «...დროშა და შუბი საკურთხეველსა კარს ემჭირნენ იმიერ და ამიერ» [ფურცელაძე 1996: 19].

[27]. «აწ განცხადება ვთქვათ, დიდი დღესასწაული,... დიდი დროშა ააბან» [სურგულაძე 1970: 33].

საეკლესიო დღესასწაულებზეც ტაძარში მიმავალ მეფეს სეფე დროშა ისევ წინ მიუძღვოდა. მაგრამ, მეფის კურთხევის წესისგან განსხვავებით, როცა მეფე ტაძარში შებრძანდებოდა, დროშა ტაძრის კართან რჩებოდა[28]. ასეთი წესი, როგორც ჩანს, იმიტომ არსებობდა, რომ ყველა გამვლელ–გამომვლელს დაენახა, ქალაქის რომელ ტაძარში ესწრებოდა მეფე წირვას. სადაც მეფე იმყოფებოდა, მთელი ქალაქიც იმ ეკლესიაში იყრიდა თავს[29]. დღესასწაულზე მიმავალ მეფეს, როგორც წესი, თან მენობათენი ახლდნენ, რომლებიც მრევლს საჩუქრებს ურიგებდნენ. წირვა–ლოცვის შემდგომ იმართებოდა დიდი ლხინი. სეფე დროშა ტაძრის კართან მანამდე რჩებოდა, სანამ მეფე არ წაბრძანდებოდა[30].

დროშა ბრძოლის ველზე

საისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ, როცა დიდი ლაშქრობები ეწყობოდა, სეფე დროშა გამოჰქონდათ ხოლმე ბრძოლის ველზე[31]. როგორც წესი, ქართველი მეფეები ასეთ ომებში პირადად მონაწილეობდნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მეფე არ გადიოდა ბრძოლის ველზე, იგი სეფე დროშას აბარებდა სარდალს[32]. ცნობილია ასეთი შემთხვაც – გარნისის

---

[28] . «დროშა ეკლესიის კარსა დგას» [სურგულაძე 1970: 33].

[29] . «წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველივე (იქ – გ.მ.) წავა» [სურგულაძე 1970: 33].

[30] . «რა მეფე ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წავა» [სურგულაძე 1970: 33].

[31] . «გორგასლიანი, დავითიანი დროშა იახლის მსრველად მტერთათჳს» [ლოლაშვილი 1964: 127].

[32] . «მოიღო დროშა სჳანად ჴმარებული, გორგასლიანი და დავითიანი, და ... მისცა დროშა ზაქარია ამირსპასალარსა, და წარემართნეს სპარ–

ბრძოლაში განცდილი მარცხის გამო, რუსუდანმა სეფე დროშა აღარ გაატანა ივანე ათაბაგს ბრძოლის ველზე[33]. ეს იმით აიხსნება, რომ სეფე დროშას განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ. არ შეიძლებოდა ქვეყნის მთავარი სიმბოლო, რომელიც, ამავე დროს, დიდ სიწმიდეს წარმოადგენდა, მტერს ჩავარდნოდა ხელში.

საომრად წასვლის წინ ხდებოდა ლაშქრისა და დროშის დალოცვა. ეს იყო მეტად ამაღლებული მომენტი ერის ცხოვრებაში. იმართებოდა საზოგადო ღვთისმსახურება, რომლის დროსაც მეფე პირადად ლოცავდა თავის მხედრობასა და დროშას[34].

ბრძოლის ველზე, ასევე აღლუმებში, დიდი დროშა უშუალოდ მეფის ან სარდლის ამალაში იმყოფებოდა[35]. მის გვერდით იყო ასევე მეფის პირადი დროშაც. «ხელმწიფის კარის გარიგებაც» მთავარი დროშის გვერდით ახსენებს მეფის პირად დროშას.

სეთად» [ყაუხჩიშვილი 1959: 104]; «განაჩინა მეფემან რუსუდან სპათა მისთა თავად (ივანე ათაბაგი – გ.მ.) და უბოძა დროშა სვიანი და წარავლინა ბრძოლად სულტნისა მის ჯალალდინისა» [ყაუხჩიშვილი 1959: 169].

[33]. «წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა. ხოლო თჳთ დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათჳს ივანე ათაბაგისა» [ყაუხჩიშვილი 1959: 183].

[34]. «მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღმრთისმშობელისა წინაშე. და ცრემლით შევედრა სოსლან დავით და სპა მისი; და დროშა მისი სჳანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით» [ყაუხჩიშვილი 1959: 94–95].

[35]. მაგალითად, შამქორის ბრძოლაში «იხილეს: **მიახლებოდა მეფე** (იგულისხმება დავით სოსლანი – გ.მ.) **და მისი რაზმი; დროშა იგი გორგასლიანი,** რომელი სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკდებოდა» [ყაუხჩიშვილი 1959: 71]; შდრ. «ჴელმწიფე რაზმთა შუა დგას ადგილსა დროშა სვიანსა» [აბულაძე 1916: 643; მარგიშვილი 2007: 39–40].

დროშისმტვირთველთა შესახებ

მედროშეებს ეწოდებოდათ «დროშის სპა»[36], «დროშის მტვირთველები», «დროშის კაცნი» [ბარნაველი 1953: 95]. მათ ასევე ერქვათ «დროშის მამდეგები», ანუ დროშასთან მდგომნი[37]. აღლუმებსა და ბრძოლის ველზე დროშა უშუალოდ მათ ებარათ. ეს მეტად საპატიო მოვალეობა იყო.

მედროშის სახელო საქართველოში შთამომავლობით გადადიოდა. იოანე ბატონიშვილი მის დაარსებას დავით აღმაშენებელს მიაწერს [კლდიაშვილი 2003: 15].

ასეთ მედროშეთაგან ცნობილი არიან, მაგალითად, ხერხეულიძენი. საყოველთაოდაა ცნობილი წმიდა მოწამე ცხრა ძმა ხერხეულიძე, რომელთაც დედასთან და დასთან ერთად საქართველოს დროშის დაცვას შესწირეს თავი.

ძველ მედროშეთაგან ცნობილი არიან ასევე ჭანტურიშვილები [ბარნაველი 1953: 59] და ნორიოელი ჭიჭინაძეები. ჭიჭინაძეებს რუსთველის დროშა ებარათ. მათ დროშის დაცვის ასეთი წესი ჰქონდათ – საუკეთესო ბედაურზე აამხედრებდნენ თავისი გვარის კაცს. დროშას მას დააჭერინებდნენ. დანარჩენი ჭიჭინაძეები გარს შემოერტყმოდნენ და ასე იცავდნენ დროშას [ბარნაველი 1953: 103]. ცხენი აუცილებლად საუკეთესო უნდა ყოფილიყო, რადგან, თუ ომის სასწორი მტრის მხარეს

---

[36] . «აღვწეროთ **დროშისა სპათათვის**, რომელი განუწესებიათ პირველად მეფეთა უწინარეს ჩვენსა» [ბარნაველი 1953: 97].

[37] . «ერისთავები ჰყავს **მამდეგად** მას სახელოანს დროშასა» [ლეონიძე, იორდანიშვილი 1935: 182].

გადაიხრებოდა, სასწრაფად მომხდარიყო ბრძოლის ველიდან დროშის გამოტანა. დროშა მტერს არ უნდა ჩავარდნოდა ხელში.

საქართველოს მთამ გვიანობამდე შემოინახა ეროვნული დროშებისადმი პატივის მიგების ძველი ტრადიცია. მთაში მედროშეობა იმდენად წმიდა საქმედ მიიჩნეოდა, რომ დროშის ტვირთვა მხოლოდ მარხვითა და ლოცვით გაწმენდილ კაცს შეეძლო. როგორც ჩანს, მთაში შემონახულ ტრადიციებში ასახვა ჰპოვა იმ ძველმა წესებმა, რომლებიც სეფე დროშის მტვირთველებს ჰქონდათ. მაგალითად, ცნობილია, რომ სიმონ მეფის დროს სამეფო დროშა ბრძოლის ველზეც კი სამღვდელო პირთ ებარათ, რომლებიც ყველაზე დაცულ ადგილზე იმყოფებოდნენ [ტაბაღუა 1999].

დროშის განახლებისა და კურთხევის წესის შესახებ

სეფე დროშა, როგორც ვთქვით, ერთადერთი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი ფლობის უფლება მარტო მეფეს ჰქონდა. ამიტომ, ამ დროშის მეორე პირს ამზადებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა იგი დრო–ჟამისგან გაიცრიცებოდა და დაძველდებოდა.

ამასთან, საქართველოში არსებობდა სეფე დროშის უცვლელი სახით განახლების ტრადიცია [38]. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დროშის განმაახლებელი და

---

[38]. ერთადერთი ცნობა, რომელიც სეფე დროშის ცვლილებას შეეხება, გვაუწყებს, რომ ვახტანგ გორგასლის დროს იგი «სპეტაკი» გახდა. სეფე დროშის სხვა, თუნდაც უმნიშვნელო, სახის ცვლილების შესახებ წერილობითი წყაროები არაფერს გვეუბნებიან.

მფლობელი მეფის სამართალმემკვიდრეობას გამოხატავდა. ამიტომ ახლადშეკერილი დროშა უწინდელი ძველი დროშის სახეს ზედმიწევნით იმეორებდა.

ბოლოს ახლადშეკერილ დროშას ეკლესიის უმაღლესი იერარქია აკურთხებდა. ამგვარად ხდებოდა დროშის განახლება.

ძველ ქართულ ხელნაწერებში მოგვეპოვება საბრძოლო დროშების კურთხევის წესი[39]. მასში, მართალია, სეფე დროშა ნახსენები არ არის, მაგრამ მის მიხედვით ზოგადი წარმოდგენა მაინც შეიძლება ვიქონიოთ იმაზე, როგორ ხდებოდა დიდი გორგასლიანი დროშის კურთხევა. აღნიშნულ წეს–განგებაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ დროშების კურთხევას პატრიარქი აღსრულებდა. თვალში საცემია ასევე ღვთისმსახურების საზეიმო ხასიათი. ეს მიგვანიშნებს, რომ დროშების კურთხევა მძიმე მარხვის დღეებში არ ხდებოდა. ხოლო, თუ გარდუვალი აუცილებლობა იქნებოდა, ვთქვათ, ომიანობის პერიოდში, მხედრობის მოსაწყობად საჭირო ახლადშეკერილი დროშების კურთხევა, რა თქმა უნდა, მარხვაშიც მოხდებოდა.

სეფე დროშის კურთხევასაც პატრიარქი აღასრულებდა სხვა იერარქებთან ერთად, ხოლო ღვთისმსახურება უფრო მეტად საზეიმო იქნებოდა, ვიდრე რიგითი საბრძოლო დროშების კურთხევისას.

დროშის კურთხევასთან დაკავშირებით ტაძარში შეკრებილ მრევლს ერთ-ერთი მღვდელმთავარი ქადაგებით

---

[39] . «დროშასა ამას, რომელი განგვიმზადებიეს საქმესა ზედა ბრძოლისასა», «იკურთხების დროშა ესე სამხედრო» – ამონარიდები პატრიარქის მიერ წარმოსათქმელი ლოცვებიდან [წესი 1997: 78, 79].

მიმართავდა. შემორჩენილია, მაგალითად, ამბროსი ნეკრესელის წარმოთქმული ქადაგება (შესხმა) წმიდა გიორგის დროშის კურთხევასთან დაკავშირებით [ამბროსი 1881: 276].

დროშის შენახვის წესისა და დროშასთან დაკავშირებული სხვა ტრადიციების შესახებ

სეფე დროშის გაშლა მარტო დღესასწაულებზე არ ხდებოდა. ეტყობა მას მეფის კარზე გამართული დიდი დარბაზობის დროსაც გამოაბრძანებდნენ ხოლმე [ჯავახიშვილი 1982: 386; ჯავახიშვილი 1984: 159].

ამრიგად, დიდი გორგასლიანი დროშა ყოველთვის გაშლილი არ იყო. მისი გამობრძანება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში იგი შენახული იყო.

დროშის შესანახავად ძველად საქართველოში გამოიყენებოდა დროშის ბუდე [ჯავახიშვილი 1984: 159]. ცნობილია, მაგალითად, კახეთის მეფის დროშის ბუდე – ოქროთი ნაქარგი[40]. რა თქმა უნდა, არანაკლები ძვირფასი ქსოვილის ბუდეში თუ გვადრუცში იქნებოდა ჩასვენებული ასევე

[40]. «შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი – ბროლის ჯვარი, იმ **დროშის ბუდე ოქროქსოვილი** სარასლისა, გარდაგბურეთ» – ვკითხულობთ ილორის ხატის წარწერაში [ბარნაველი 1953: 93].

გორგასლიანი დროშაც. ბუდეში დროშა დაკეცილი თავსდებოდა[41].

ძველად საქართველოში არსებობდა ძალიან საინტერესო ტრადიცია – დაკეცილი დროშის წინ ანთებდნენ სანთელს[42].

დროშებისადმი ამგვარი პატივის მიგება დღეს, შესაძლოა, უცნაურადაც ჩანდეს, მაგრამ ძველად საქართველოში ეს მიღებული წესი იყო. დროშებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც გამორჩეულ სიწმიდეებს. მათზე გამოსახავდნენ ხატ–ჯვრებს, დროშების ბუნებსა თუ ბუნიკებში ათავსებდნენ წმიდა ნაწილებს [43]. შესაძლოა, ძვირფასი ლითონის ფირფიტებში ჩაწყობილი მცირე ზომის წმიდა ნაწილების ჩამაგრება ფოლაქების მსგავსად უშუალოდ დროშებშიც ხდებოდა.

თუ განვაზოგადებთ ამ ცნობებს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ოქრომკედი არა მხოლოდ სეფე დროშას ამკობდა, არამედ მისი ბუდეც ოქროქსოვილი იყო. ეს იყო დიდი სიწმიდეებით შემკობილი დროშა. მის ბუნსა და ბუნიკში სანაწილე კოლოფები იყო მოთავსებული. შესაძლოა მცირე ზომის წმიდა ნაწილები, საეკლესიო ოდიკის მსგავსად, უშუალოდ დროშაშიც

---

[41]. შდრ. «დაეკეცა დროშასა ამას სამ სხივად გრძელი ფრთები და ჩაიდვა კიოტსა შინა» – ასე შეინახეს რუსების უჩუმრად მეფე გიორგის საუფლისწულო დროშა [გაწერელია 1978: 26–27].

[42]. «არ ვის უნახავს დავსილი მისის დროშისა სანთელი» [ბარამიძე, ბერძენიშვილი 1937: 96]; შდრ. «თვალად და ტანად ტურფაო, ფრიდონის დროშის სანთელო» [აბულაძე 1916: 438].

[43]. ცნობილია, მაგალითად, ქიზიყის დროშის ბუნიკი, მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, სანაწილე კოლოფით. იგი დაცული ყოფილა აბელ ანდრონიკაშვილის სახლში [კარბელაშვილი 1904].

იყო ჩაკერებული. დროშის ბუნზე აბმა და გამობრძანება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდებოდა. მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში იგი დაკეცილი და ბუდეში ჩასვენებული იყო, ხოლო მის წინ ენთო სანთელი.

ასეთი პატივით საქართველოში ძველად გორგასლიან დროშაზე გაცილებით დაბალი რანგის დროშებსაც ეპყრობოდნენ. საფიქრებელია, რომ სეფე დროშას, უფრო მეტს თუ არა, ამაზე ნაკლებ პატივს მაინც არ მიაგებდნენ.

დიდი გორგასლიანი დროშა ინახებოდა სახელმწიფო ზარდახანაში. ზარდახანა იყო ორი – ერთი აღმოსავლეთ საქართველოში, მეორე – დასავლეთში[44]. «ხელმწიფის კარის გარიგების» მიხედვით, მონღოლების დროს, ეს დროშა, სავარაუდოდ, დასავლეთ საქართველოს ზარდახანაში უნდა ყოფილიყო შენახული [დოლიძე 1965: 87; თვარაძე 2004: 83, 263; ბარნაველი 1953: 19]. როგორც ჩანს, იქ უფრო უსაფრთხოდ იყო.

დაკეცილ დროშასთან სანთლის დანთების ტრადიცია მიანიშნებს იმაზე, რომ მის წინაშე ლოცულობდნენ და კითხულობდნენ ფსალმუნებს. ძველთაგანვე საქართველოში არსებობდა ასევე დროშაზე ფიცის დადების წესი[45].

---

[44] . «საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქვემონი» – ვკითხულობთ დავით აღმაშენებლის ანდერძში [ჟორდანია 1897: 51; საბინინი 1882: 513; ჯავახიშვილი 1984: გვ. 159].

[45] . «ნუ ვუღალატებთ ერთ ურთსა, დროშის ქვეშ ფიცევდისაო» [თაყაიშვილი 1913–1914: 41].

ნაწილი მესამე

დროშაზე გამოსახული სიმბოლოების მნიშვნელობა

ჩალისფერი ალმის შესახებ

წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს, რომ ყანის სპეტაკი ფერი სიწმიდეს განასახიერებს, ხოლო პურის თავთავები – მორწმუნეთა სიმრავლეს [შანიძე, სარჯველაძე 1993: 223]. ამრიგად, პურის ყანა ქრისტეს ერის, მარტვილთა ერის, საზეპურო ერის სიმბოლური სახეა.

პურის ყანის მზისფერი, ღვთის სასუფევლის დიდებულებასა და ბრწყინვალებას გამოხატავს.

იოანე ოქროპირის სიტყვითვე, პურის ყანის ბრწყინვალება ასევე განასახიერებს მორწმუნეთა გონების განსპეტაკებასა და ღვთის სასუფეველში შესვლისათვის მზადყოფნას [შანიძე, სარჯველაძე 1993: 223]. ამიტომ, ეს ფერი გამოიყენება ხატწერაში, როგორც წმიდანების შარავანდედის

ფერი. იგი ხშირად გამოიყენება ხატების ფონადაც, როგორც «ნათელი მხიარული», ანუ «ნათელი მიუაჩრდილებელი». ცნობილია ასევე, რომ ძველად საქართველოში საკათედრო ტაძრების პერანგის შესამოსად, ანუ ფასადების მოსაპირკეთებლად, ხუროთმოძღვრები საგანგებოდ არჩევდნენ სწორედ ჩალისფერი შეფერილობის მქონე ქვას.

პურის ყანის ოქროსფერი სისპეტაკე, როგორც მკის ჟამის მოახლოვების ნიშანი, სიმბოლურად აღნიშნავს ასევე ბოლო ჟამს [46]. ამგვარად, ეს არის საქართველოს ფერი, რომელიც, ეკლესიის წმიდა მამებისა და მოძღვრების გადმოცემით, ბოლო ჟამს გაბრწყინდება.

დასასრულ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დროშის ალამი ჩალისფერი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში ყვითელი. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მართლმადიდებლურ ხატწერაში ყვითელს სულ სხვა, ზოგჯერ უარყოფითი, შინაარსობრივი დატვირთვა აქვს [ჩიქოვანი 1992: 94]. ხოლო ჩალისფერი – მზისფერია, აბიბინებული სანთლების ფერია. ჩალისფერი არის ნათელი მხიარული. ჩალისფერი – ნათლისფერია, საქართველს ფერია, რადგან საქართველო არის ნათელი ქრისტესი.

გვირგვინით გამშვენებული ჯვრის შესახებ

«არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმჴნითა ჩუენითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლეთ მტერთა, არამედ ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ძისა

---

[46]. იხ. იგავი იფქლისა და ღვარძლისა (მათე 13,24–30) და მისი განმარტება [შანიძე 1998: 7; თეოფილაქტე 1992: 147].

ღმრთისა, რომელმან მოგუცა წინამძღურად და საჭურველად ჯუარი მისი პატიოსანი» [ყაუხჩიშვილი 1955: 140] – მეფე არჩილის ეს სიტყვები შესანიშნავად გადმოსცემს ჯვრის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში.

დიდი გორგასლიანი დროშის ჩვენეულ ვარიანტზე გამოსახულია წრიული ფორმის გვირგვინით, ანუ სიწმიდის შარავანდედით გამშვენებული ჯვარი. იგი და მის ფრთებს შორის არსებული წარწერა არის მუქი წითელი ფერის.

ეს ფერი, უწინარეს ყოვლისა, განასახიერებს ქრისტეს ჯვარცმასა და მკვდრეთით აღდგომას. როგორც ცნობილია, ძველად საქართველოში სააღდგომო კვერცხს ენდროთი ღებავდნენ, რაც მის ნაჭუჭს მუქ წითელს, შინდისფერს ხდიდა.

ეს ფერი ასევე განასახიერებს რწმენისა და მამულისათვის დაღვრილ ზღვათაუარებელ მოწამეობრივ სისხლს[47], ამ მოწამეობრივი სისხლით არის განსპეტაკებული დროშის ალამი, რაც, როგორც ვთქვით, სიმბოლურად საქართველოს აღნიშნავს.

დაქარაგმებული წარწერის შესახებ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია, არ ვიცით რა ეწერა გორგასლიან დროშაზე, მაგრამ, ტრადიციის განახლების მიზნით, გადავწყვიტეთ ვარაუდით მაინც აღგვედგინა იგი.

საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდა «IC XC NIKA»–ს ქართული შესატყვისი: «იესო ქრისტე – ძლევაᲐ». ჯვრებზე ასეთი წარწერის გაკეთება მეტად გავრცელებულია

---

[47] . შდრ. «აღდგომის კვერცხს დაემსგავსა ჭირნახული საქართველო» [კიკაჩეიშვილი, სანიკიძე 1987: 15].

მართლმადიდებელ ეკლესიაში. იგი აღნიშნავს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, მის მიერ სიკვდილისა და ცოდვის დამარცხებას.

დროშაზე ბოლნური ჯვრის გვირგვინში შეიძლება წვრილი ასოებით ასევე ჩაიწეროს სიტყვები: «უფალმან ძალი ერსა თჳსსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თჳსი მშჳდობით» (ფსალ. 28,11).

მსგავსი ფსალმუნური ფრაზები, – მაგალითად, «აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკჳდრებელი შენი» (ფსალ. 27,9), – შეიძლება ასევე დაიწეროს დროშის ბუნსა და დაბარჩამზე.

ყველა ეს წარწერა უნდა იყოს ასომთავრული, რადგან ვახტანგ გორგასლის დროს სწორედ ეს ქართული ანბანი არსებობდა.

სამი ღვთაებრივი საუნჯის შესახებ

თავის დროზე სამი ღვთაებრივი საუნჯის შესახებ დაგვმოძღვრა დიდმა ილიამ. ჩვენს დროში კი მეორე ილიამ დასძინა, რომ მთავარია ასევე ადამიანი, როგორც ტაძარი ღმრთისა. და აი, დადგა დრო, როცა ქართველ ადამიანს შეუძლია ყოვლადწმიდა სამების სადიდებლად აღმართოს დროშა, რომელზეც გამოსახულია ჩვენი სამი ღვთაებრივი საუნჯე:

მამული – გაბრწყინებული საქართველო, როგორც ნათელი ქრისტესი, დროშაზე წარმოდგენილია სპეტაკი ჩალისფერი ალმის სახით.

ენა – ქართული ასომთავრული ანბანით დროშაზე დაწერილია უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო

ქრისტეს ძლევამოსილი სახელი, რადგან ჩვენი დედაენა არის «შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა».

სარწმუნოება – ბოლნური ჯვარი, როგორც ბეჭედი, მთლიანად მოიცავს დროშას. მისი სიდიდე სიმბოლურად განასახიერებს იმ მძიმე ჯვარს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ზიდავდა საქართველო. ხოლო მისი გვირგვინი, როგორც სიწმიდის შარავანდედი, თავისი წრიული ფორმით არის მარადიული დიდების სიმბოლო.

ბოლოსიტყვა

ასეთია გორგასლიანი დროშის ჩვენეული ვარიანტი. შეგახსენებთ, ეს არის დროშის სავარაუდო სახე. დანარჩენს

საისტორიო წყაროების შემდგომი კვლევა–ძიება გამოაჩენს. მაშ, ვეძიებდეთ და ვპოვებდეთ!

და კიდევ, აუცილებლად მიგვაჩნია, განვაცხადოთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვიქნებით, თუკი ვინმე გამოიყენებს ამ დროშას პოლიტიკური მიზნებით.

ამავე დროს, ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუკი საქართველოს საპატრიარქო მიიღებს ამ დროშას, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ–ერთ სიმბოლოს, რისთვისაც მდაბალი თხოვნით მივმართავთ მის უწმიდესობას.

სამომავლოდ კი, თუკი ჩვენი პატრიარქის ლოცვა–კურთხევა იქნება, სურვილი გვაქვს დავამზადოთ ძვირფასი ნაქარგობით შემკული ასეთი დროშა თავისი ჭედური ბუნითა და დაბარჩამით და შევწიროთ სვეტიცხოველში წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის საფლავს.

ჩვენ ვიცით, რომ დროშას დიდი ძალა აქვს. გვჯერა, რომ იგი დიდ გამარჯვებებს მოუტანს საქართველოს.

დასრულდა სადიდებლად ღმრთისა
ამინ.

დამოწმებანი

აბულაძე 1916: შაჰ–ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, 1, იუსტინე აბულაძის გამოცემა, თბ., 1916.

აბულაძე 1993: სულხან–საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ილია აბულაძის გამოცემა, 2, თბ., 1993.

აბულაძე და სხვები 1934: აბუ–ლ–ყასიმ ფირდოუსი (ტუსელი), შაჰ–ნამე, ქართული ვერსიები, იუსტინე აბულაძის, ალექსანდრე ბარამიძის, პავლე ინგოროყვას, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გამოცემა, 2, ტფ., 1934.

ალმონდი 2009: Two faiths - one banner (when Muslims marched with Christians ...), by Ian Almond, Tauris, 2009.

ამბროსი 1881: ქადაგებანი და მოძღვრებანი თქუმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოზის–მიერ, თბ., 1881.

ანთელავა, შოშიაშვილი 1996: ქართლის ცხოვრება (ძველი ქართლის ცხოვრება), ილია ანთელავასა და ნოდარ შოშიაშვილის გამოცემა, თბ., 1996.

ასათიანი 1979: ლადო ასათიანი, კრ. კრწანისის ყაყაჩოები, თბ., 1979.

ასათიანი 1996: თორნიკე ასათიანი, გერბი და სიმბოლიკა, ჟურ. არტანუჯი, 1996, #5.

აჭარიანი 1987: აჭარიანი, ძირეულ სიტყვათა ლექსიკონი, ერევანი, 1987.

ბაგრატიონი 1848: თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ს–პბ, 1848.

ბაგრატიონი 1991: საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, თბ., 1991.

ბაგრატიონი 1997: ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997.

ბარათაშვილი და სხვები 2011: გულნაზ ბარათაშვილი, ეკა ბერელაშვილი, მზისთვალა კეცხოველი, იზოლდა მელიქიშვილი, ნინო ნადარაია, ეთერ სულხანიშვილი, ქართული ნაქარგობა, თბ., 2011.

ბარამიძე, ბერძენიშვილი 1937: არჩილ ბაგრატიონი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, 2, ალექსანდრე ბარამიძისა და ნიკო ბერძენიშვილის გამოცემა, ტფ., 1937.

ბარნაველი 1953: სარა ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953.

ბარნაველი 1965: სარა ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები (ნარკვევები), თბ., 1965.

ბერძენიშვილი და სხვები 1956: საქართველოს ისტორია, 1, ავტორთა კოლექტივი: ანდრია აფაქიძე, ნიკო ბერძენიშვილი (მთ. რედ.), გიორგი მელიქიშვილი და სხვ., თბ., 1956.

ბიჭიკაშვილი, ჩაგუნავა 2004: იოსებ ბიჭიკაშვილი, რაულ ჩაგუნავა, ისტორიული ცნობები ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ, გაზ. «24 საათი », 20 იანვარი, 2004.

გაბელია 2005: საქართველოს სულიერი საგანძური, ვახტანგ გაბელიას გამოცემა, 1, თბ., 2005.

გამსახურდია და სხვები 1990: სვიმონ გამსახურდია, ნოდარ შოშიაშვილი, ზაზა ხიდურელი, საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები, თბ., 1990.

გაწერელია 1978: პლატონ იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, აკაკი გაწერელიას გამოცემა, თბ., 1978.

გიგინეიშვილი, თოდუა 2010: გელათური ბიბლიის კატენები, ბაქარ გიგინეიშვილისა და გიორგი თოდუას გამოცემა, თბ., 2010.

დანკერი, კრიუგი 2009: The Concise Greek-English Lexicon of the New Testament By Frederick William Danker, Kathryn Krug, University Of Chicago, Hardcover, 2009.

დოლიძე 1965: ქართული სამართლს ძეგლები, ისიდორე დოლიძის რედაქციით, 2, თბ., 1965.

დონდუა, დონდუა 2006: გიორგი დონდუა, თედო დონდუა, ქართული ნუმიზმატიკა, 1, თბ., 2006.

ედსონი 2007: The world map (1300-1492), the persistence of tradition and transformation By Evelyn Edson, The Johns Hopkins University Press, 2007.

ვადბოლსკი 1980: მიხეილ ვადბოლსკი, საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ., 1980.

ვადბოლსკი 2010: მიხეილ ვადბოლსკი და ქართული ჰერალდიკა, თბ., 2010.

ვეისმანი 1899: Греческо-Русский Словарь, составленный А. Д. Вейсманом, С-Пб., 1899.

ვიტფილდი 1996: Peter Whitfield, The charting of the oceans (ten centuries of maritime maps), Pomegranate Artbooks, 1996.

ზაქარაია და სხვები 1998: პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ნოდარ შოშიაშვილი, გივი ჯამბურია, ოთარ ჯაფარიძე, საქართველოს სახელმწიფო სიმფოლიკის შესახებ, გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა», 10 მარტი, 1998.

თაყაიშვილი 1913–1914: ექვთიმე თაყაიშვილი, ხონის ეკლესია და მისი სიძველენი, ძველი საქართველო, 3, განყ. 1, ტფ., 1913–1914 .

თაყაიშვილი 1920: ჭელმწიფის კარის გარიგება, ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემა, ტფ., 1920.

თაყაიშვილი 1937: ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ–სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

თევზაია 2009: მარინე თევზაია, ქართული ორნამენტი, 2, თბ., 2009.

თევზაძე 1989: დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, გ. თევზაძის გამოცემა, თბ., 1989.

თეოფილაქტე 1992: ახალი აღთქმის კომენტარები ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელისა, 1, თბ., 1992.

თვარაძე 2004: ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში XII–XVI ს–თა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალების საფუძველზე, თბ., 2004.

თოდუა 1975: ქილილა და დამანა, იგავ–არაკების კრებული, თარგმანი სპარსულიდან ვახტანგ მეექვსისა და სულხან–საბასი, მ. თოდუას გამოცემა, თბ., 1975.

თუმანიშვილი და სხვები 2007: გელათი 900 (ხუროთმოძრვრება, მხატვრობა, განძეულობა), დიმიტრი თუმანიშვილისა და ავტორთა კოლექტივის გამოცემა, თბ., 2007.

ისაკაძე და სხვები 2001: დეკანოზი დავით ისაკაძე, ზურაბ ქუთათელაძე, ირაკლი კამკამიძე, პეტრიწონის ქართველთა სავანე ბულგარეთში, თბ., 2001.

კაკაბაძე 1914: ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოსა შინა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, სარგის კაკაბაძის გამოცემა, ტფ., 1914.

კარბელაშვილი 1904: მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილი, ქართველთა საერო დროშის გამო, გაზ. «ივერია», 1904, # 284.

კარბონი 2007: Stefano Carboni, Venice and the Islamic world (828-1797), Institut du monde arabe (France), Metropolitan Museum of Art (New-York), N-Y, 2007.

კიკაჩეიშვილი, სანიკიძე 1987: აკაკი წერეთელი, თორნიკე ერისთავი, თენგიზ კიკაჩეიშვილისა და თენგიზ სანიკიძის გამოცემა, თბ., 1987.

კლდიაშვილი 1997: დავით კლდიაშვილი, ქართული ჰერალდიკის ისტორია, ჟურ. პარლამენტის უწყენაბი, 1997, # 27–28.

კლდიაშვილი 2000: დავით კლდიაშვილი, ქართლ–კახეთის სამეფოს დიდი სახელმწიფო ბეჭედი, ჟურ. ომეგა, 2000, #12.

კლდიაშვილი 2003: დავით კლდიაშვილი, ქართული ჰერალდიკის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები, 1, დროშა სვიანად მოხმარებული, თბ., 2003.

კლდიაშვილი 2008: დავით კლდიაშვილი, თანამედროვე საქართველოს ჰერალდიკა, თბ., 2008.

კობიძე 1974: შაჰ–ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, 3, დავით კობიძის გამოცემა, თბ., 1974.

ლეონიძე, იორდანიშვილი 1935: ფეშანგი, შაჰნავაზიანი, გიორგი ლეონიძისა და სოლომონ იორდანიშვილის გამოცემა, თბ., 1935.

ლიდელი, სკოტი 1883: A Greek-English Lexicon compiled by H. G. Liddell and R. Scott, N-Y, 1883.

ლოლაშვილი 1964: იოანე შავთელი, აბდულმესიანი (თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა), ივანე ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1964.

ლორთქიფანიძე 2006: მარიამ ლორთქიფანიძე, იყო თუ არა ხუთჯვრიიანი დროშა შუასაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლო? კრ. შოთა მესხია 90 (საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი), თბ., 2006.

მაკკანდლესი, გროსვენორი 1917: Flags of the World by Byron McCandless and Gilbert Grosvenor, with 1197 flags in full colors 300 additional illustrations in black and white, published by the National Geographic Society, Washington D. C., 1917.

მარგიშვილი 2007: სოსო მარგიშვილი, დროშები და მათი ფუნქციები შუა საუკუნეებში, ჟურ. ანალები, 2007, #1.

მაჩაბელი 2008: კიტი მაჩაბელი, ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბ., 2008.

მეტრეველი 2010: კუკური მეტრეველი, ჯავახეთი, თბ,. 2010.

მეტრეველი და სხვები 2003: კრ. ბაგრატიონები (კულტურული და სამეცნიერო მემკვიდრეობა), როინ მეტრეველისა და ავტორთა კოლექტივის გამოცემა, თბ., 2003.

მილერი, ბურერი 2008: A New Reader's Lexicon of the Greek New Testament by Jeffery E Miller, Michael Burer, Hardback, 2008.

მუსხელიშვილი 1996: დავით მუსხელიშვლი, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, გაზ. «ტფილისის უწყებანი», 15–18 ოქტომბერი, 1996.

მუსხელიშვილი 1997: დავით მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, ჟურ. პარლამენტის უწყენაბი, 1997, # 27–28.

მუსხელიშვილი 1998: დ. მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშა შუა საუკუნეებში, გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 13–20 მარტი, 1998.

მუსხელიშვილი 1999: დავით მუსხელიშვილი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის საკითხისათვის, გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 25 ივნისი – 2 ივლისი, 1999.

მუსხელიშვილი 2007ა: დავით მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო დროშა, ჟურ. მნათობი, 2007 წ., #3.

მუსხელიშვილი 2007ბ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექციის პრეს–რელიზი (მთავარი რედაქტორი – დავით მუსხელიშვილი), ჟურ. ანალები, 2007, #1.

ნიშნიანიძე 1990: შოთა ნიშნიანიძე, თხზულებანი ორ ტომად, 1, თბ., 1990.

ჟორდანია 1897: თედო ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, 2, ტფ., 1897.

რამიშვილი 2010: ქეთევან რამიშვილი, ისტორიის მოყვარულთა მეგზური, ისტორიის დამხმარე დისციპლინები, თბ., 2010.

საბინინი 1882: მიხეილ (გობრონ) საბინინი, საქართველოს სამოთხე (სრული აღწერაჲ ღუაწლთა და ვნებათა საქართუჱლოს წმიდათა), ს–პბ, 1882.

სანდერსონი 1973: The sea chart (an historical survey based on the collections in the National Maritime Museum Derek Howse), by Michael W. B. Sanderson, National Maritime Museum (Great Britain) David and Charles, 1973.

სილაგაძე 2003: აპოლონ სილაგაძე, ჯერ დავადგინოთ, როგორი იყო გორგასლიან–დავითიანი..., «მთავარი გაზეთი», 10 თებერვალი, 2003.

სილაგაძე, ჯაფარიძე 1999: აპოლონ სილაგაძე და გოჩა ჯაფარიძე, ავმართე დროშა მეფისა, ალმითა წითელ–შავითა, თბ., 1999.

სურგულაძე 1970: ქართული სამართლის ძეგლები, ჴელმწიფის კარის გარიგება და დასტურლამალი, ი. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970.

სურგულაძე 1993: ხელმწიფის კარის გარიგება, ქ. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1993.

ტაბაღუა 1999: ილია ტაბაღუა, სიმონ პირველის მოღვაწეობის ისტორიიდან, გაზ. «მეფეთუბანი», 1999, #11.

ფერაძე 1995: არქიმ. გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბ., 1995.

ფურცელაძე 1996: წესი და განგება მეფეთ კურთხევისა, დ. ფურცელაძის გამოცემა, თბ., 1996.

ღუდუშაური–შიოლაშვილი 1999: პატრიარქი ილია მეორე, სიტყვა საქართველოს პარლამენტის საზეიმო სხდომაზე, 27 აპრილი, 1999 წ., «საპატრიარქოს უწყებანი», 30 აპრილი–6 მაისი, 1999.

ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება, 1, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, 1, თბ., 1955.

ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება, 2, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.

შანიძე 1971: აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971.

შანიძე 1998: წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაᲘ მათეს სახარებისაᲘ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, მზექალა შანიძის გამოცემა, 3, თბ., 1998.

შანიძე, სარჯველაძე 1993: წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა, მზექალა შანიძისა და ზურაბ სარჯველაძის გამოცემა, 1, თბ., 1993.

შმერლინგი, კრავჩენკო 1954: ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, რ. შმერლინგისა და ა. კრავჩენკოს გამოცემა, თბ., 1954.

შოშიაშვილი 1980: ლაპიდარული წარწერები, 1, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), ნოდარ შოშიაშვილის გამოცემა, თბ., 1980.

ჩიქოვანი 1992: ნინო ჩიქოვანი, ფერთა ლექსიკისათვის ძველ ქართულში, თბ., 1992.

ცაგარეიშვილი 1978: სტეფანოს ორბელიანის «ცხოვრება ორბელიანთა» ძველი ქართული თარგმანები. ქართულ–სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

ცაგარეიშვილი 1981: პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ელენე ცაგარეიშვილის გამოცემა, თბ., 1981.

წესი 1997: დროშის კურთხევის წესი, ჟურ. პარლამენტის უწყენაბი, 1997, # 27–28.

ჯავახიშვილი 1982: ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 1, თხზულებანი თორმეტ ტომად, 6, თბ., 1982.

ჯავახიშვილი 1984: ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, თხზულებანი თორმეტ ტომად, 7, თბ., 1984.

ჯავახიშვილი 2008: ნიკო ჯავახიშვილი, კავკასიური სიმბოლიკა საქართველოს სამეფო გერბზე, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს (კრ. გამოცემული თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და კავკასიოლოგიის ინსტიტუტის მერ), თბ., 2008.

ჯანაშვილი 1917: მოსე ჯანაშვილი, საქართველოს დროშა, გაზ. «საქართველო», 1917, #124.

ჯაფარიძე 1982: ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბ., 1982.

ჯონსი 1825: The Tyro's Greek and English Lexicon by John Jones, London, 1825.

დანართი
სიტყვა «სპეტაკის» განმარტებისათვის

ჩვენს წიგნში შეძლებისამებრ მოკლედ გვაქვს წარმოდგენილი მსჯელობა სიტყვა «სპეტაკის» მნიშვნელობის შესახებ. ამის გამო ზოგიერთმა ჩვენმა მეგობარმა ისე გაიგო, თითქოს ჩვენ ვამბობდეთ, რომ ძველქართულში «სპეტაკი» მაინცადამაინც ჩალისფერს აღნიშნავდა. ეს არასწორია. ამ გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად ვაკეთებთ წინამდებარე დანართს.

«სპეტაკი» = «თეთრი», «ბრწყინვალე» / «λευκός», «διάλευκος»



იხ. ბერძნულ–ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის ქართულ–ბერძნული ინდექსი, სიმონ ყაუხჩიშვილისა და ლიანა კვირიკაშვილის გამოცემა, 7, 2007 წ., გვ. 111.

თავისთავად სიტყვა «λευκός» ძველბერძნულში არ აღნისნავს მხოლოდ «თეთრს».



იხ. Древнегреческо-Русский Словарь Нового Завета, გამოცემის ადგილი და წელი მითით. არ არის (ელ. ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტით), გვ. 130.

λάμπω 3•7 shine (5:15, 16)
ἥλιος, ὁ 5•32 the sun
λευκός 3•25 bright, shining, gleaming (5:36; 28:3)

3 Ἠλίας, ὁ 9•29 Elijah

frequently

16 προσφέρω 15•47 bring
θεραπεύω 16•43 heal, restore

17 ὦ 2•17 O, O . . . ! [in personal address] (15:28)

Ἰάκωβος, ὁ 8•15•42 James

29 εἶδος, τό 2•2•5 form, outward appearance (3:22 • Jn 5:37; 2Co 5:7; 1Th 5:22)
ἱματισμός, ὁ 2•3•5 clothing, apparel (7:25 • Ac 20:33 • Jn 19:24; 1Ti 2:9)
λευκός 1•2•25 bright, shining, gleaming (Ac 1:10)
ἐξαστράπτω 1•1•1 flash/gleam like lightning

18:7, 38 • Ac 8:7; 17:6; 25:24)
δέομαι 8•15•22 ask, request
ἐπιβλέπω 2•2•3 look upon (1:48 • Ja 2:3)
μονογενής 3•3•9 one and only, only (7:12; 8:42)

39 ἐξαίφνης 2•4•5 suddenly, unexpectedly (2:13 • Ac 9:3; 22:6 • Mk 13:36)
σπαράσσω 1•1•3 shake to and fro (Mk 1:26; 9:26)
ἀφρός, ὁ 1•1•1 foam

ob. A New Reader's Lexicon of the Greek New Testament by Jeffery E Miller, Michael Burer, Hardback, 2008, ȝȝ. 49, 132.

2; Lk.
. Orelli
lucator
Eders-
. s. v.]*
ος -νος,

λευκ. see in βύσσινος.]
λευκός, -ή, -όν, (λεύσσω to see, behold, look at; akin to Lat. *luceo*, Germ. *leuchten*; cf. Curtius p. 113 and § 87; [Vaniček p. 817]), Sept. for לָבָן; 1. *light, bright, brilliant*: τὰ ἱμάτια . . . λευκὰ ὡς τὸ φῶς, Mt. xvii. 2; esp. *bright* or *brilliant from whiteness*, (dazzling) *white*:

ob. Grimm, C. L. Wilibald, Greek-English Lexicon of the New Testament, ȝȝ. 376.

ΛΕΥΚΟΣ, η, ον, white, opp. to μελας, Mat. 5. 36.—bright, fair, splendid, transparent, fr. λυκος, the sun. μηρον οδοντι λευκῷ λευκον οδοντι τυπεις, Bion. 1. 8, having his thigh white by the side of (even when compared with) a white tooth.

ob. The Tyro's Greek and English Lexicon by John Jones, London, 1825, ȝȝ. 766.

λευκός, ή, όν (√ΛΥΚ, *λύκη, q. v., cf. λεύσσω) :—*light, bright, brilliant, clear*, opp. to μέλας in all senses, αἴγλη Od. 6. 45; λευκὸν .. ἠέλιος ὥς Il. 14. 185; so, λ. φάος Soph. Aj. 709 (cf. infr. II. 3); αἰθήρ Eur. Andr. 1228; and of metallic surfaces, λέβης Il. 23. 268; also, λ. γαλήνη a *glassy* calm, Od. 10. 94; but of water, generally, *bright, limpid*, Il. 23. 282, Od. 5. 70, Aesch. Supp. 24; λ. νᾶμα Eur. H. F. 573; λευκότατος ποταμῶν Call. Jov. 19. 2. metaph. *clear, plain, distinct*, of the voice, Arist. Top. 1. 15, 13, Sext. Emp. M. 6. 41; cf. λαμπρός I. 2, σομφός II:—also of authors, Auth. P. 11. 347, cf. Ath. 383 A; while Lycophron is called *ater, the obscure*, by Stat. Sylv. 5. 3, 157; proverb., λευκὸς Ἑρμῆς, when a rogue was detected, Paroemiogr.; so in Adv., λευκότατα *most clearly*, Eus. H. E. 1. 2.—Hence came, II. the common sense of colour, *white*, very often in Hom., but, like all Greek names of colours, very indefinite, from the pure *white of snow* (ἵπποι λευκότεροι χιόνος Il. 10. 437), to the *gray of dust* (Il. 5. 503); λ. γάλα, κρῖ, ἄλφιτα, ἐλέφας, ὀδόντες, ὀστέα, ἱστία, φᾶρος, etc.;—λ. ἅρμα = λεύκιππον, Eur. Phoen. 172; λευκοὶ ἵπποι, used by tyrants, v. adnott. ad Dem. Mid. 565. 27, cf. λεύκιππος: also of *white* or *gray* hair, λ. κάρα Tyrtae. 10. 23; θρίξ Soph. Ant. 1093, cf. λευκανθής; λ. γῆρας Id. Aj. 625; λευκὰ γήρᾳ σώματα Eur. H. F. 909, etc. b. of the human skin, *white, fair*, in Hom. as a sign of youth and beauty, Il. 23.

ob. A Greek-English Lexicon compiled by H. G. Liddell and R. Scott, N-Y, 1883, გვ. 887.

ამიტომ, ბერძნული «λευκός» ძველქართულში გადმოსულია სხვადასხვა სახით, როგორც «თეთრი», «სპეტაკი», «ბრწყინვალე», «მწყაზარი»...

მაგალითად, «ქებაჲ ქებათაჲ» 5,10 ბერძნულში ასეა:

10 Ἀδελφιδός μου λευκὸς καὶ πυρρός, ἐκλελοχισμένος ἀπὸ μυριάδων·

ხოლო ძველქართულში ასე - «დისწული ჩემი **მწყაზარ** და მწითურ, გამორჩეულ შობითგან ბევრეულთაგან».

«მწყაზარი» აქ აშკარად უფრო სახენათელს აღნიშნავს, ვიდრე ქათქათა თეთრი კანის ფერის მფონეს. რადგან თეთრკანიანი ადამიანის კანი უფრო ხორბლისფერთან მიახლოებული ტონალობის მქონეა, ვიდრე ქათქათა თეთრი.

«სპეტაკი» = «ბრწყინვალე» / «λαμπρός»

«ἐξουθενήσας δὲ αὐτὸν [καὶ] ὁ Ἡρῴδης σὺν τοῖς στρατεύμασιν αὐτοῦ καὶ ἐμπαίξας περιβαλὼν ἐσθῆτα **λαμπρὰν** ἀνέπεμψεν αὐτὸν τῷ Πιλάτῳ» (ლუკა 23,11) ძველქართულ თარგმანებში ასეა:


11. ხოლო ჰეროდე შეურაცხ-ყო იგი
და ერმან მისმან, და განკიცხეს იგი და
შეჰმოსეს მას სამოსელი ბრწყინვალე 11,
და მიუძღუანა იგი პილატეს.

11. შეურაცხ-ყო იგი ჰეროდეცა ერ-
თურთ თჳსით, განბასრა იგი და შეჰმო-
სა სამოსელი სპეტაკი და მიუძღუანა
მუნვე პილატეს.

იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), აკ. შანიძის გამოცემა, თბ., 1945 წ., გვ. 284.

მსგავსი ვითარებაა **საქმე 10,30**–ის შემთხვევაშიც. ბერძნულ ტექსტში არსებული **«λαμπρός»** («καὶ ὁ Κορνήλιος ἔφη, Ἀπὸ τετάρτης ἡμέρας μέχρι ταύτης τῆς ὥρας ἤμην τὴν ἑνάτην προσευχόμενος ἐν τῷ οἴκῳ μου, καὶ ἰδοὺ ἀνὴρ ἔστη ἐνώπιόν μου ἐν ἐσθῆτι **λαμπρᾷ**») ძველქართულ რედაქციებში ერთ შემთხვევაში გადმოსულია, როგორც «სამოსლითა **სპეტაკითა**», ხოლო სხვა შემთხვევებში, როგორც «სამოსლითა **ბრწყინვალითა**». იხ. ქართული სამოციქულოს სიმფონია–ლექსიკონი, ლ. ბარამიძის, რ. ენუქაშვილისა და თ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 2009 წ., გვ. 383; განმარტება სამოციქულოსი (გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან) თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ, 1, ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემა, თბ., 2000 წ., გვ. 143. «მოციქულთა საქმეების» ძველი ქართული თარგმანების სხვა გამოცემებს აღარ ვუთითებთ, რომლებიც სადღეისოდ ყველასთვის არის ხელმისაწვდომი.

«სპეტაკი» = «ნათელი», «ბრწყინვალე» / «φανός»


სპეტაკობა-II – თეთრი, ბრწყინვალე – φανός –
რამეთუ სპეტაკობაᲲ იგი და ცეცხლის ფერო-
ბაᲲ სამოსელთაᲲ მომასწავებელად შემირაც-
ხიან მე ღმრთის სახეობისა ცეცხლის ხატო-
ბითა (არეოპ., ზეცა ეფრ., 15.4)

იხ. ძველქართულ–ძველბერძნული ფილოსოფიურ–თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი, დამანა მელიქიშვილისა და ავტორთა კოლექტივის გამოცემა, 2, 2010 წ., გვ. 68.

ამრიგად, უდავოა, «სპეტაკს» ძველქართულში «თეთრთან» ერთად ნამდვილად აქვს «ბრწყინვალეს» მნიშვნელობა.

«ბრწყინვალე» კი თავისთავად მაინცადამაინც «თეთრს» არ აღნიშნავს. ბრწყინვალე და მოელვარე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის საგანი და ნივთი. მაგალითად, ეპიფანე კვიპრელის «თუალთაᲲს» ძველქართულ თარგმანში სიტყვა «სპეტაკი» სულ სხვადასხვა შეფერილობის მქონე ძვირფას ქვებთან დაკავშირებით არის გამოყენებული (ასეთებია: სარდაკი, ტბაზიონი, იასპინი, ლჟგჟრიონი, აკატი, ამეთჳსტონი, ფრცხილი...) იხ. შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოცემა, თბ., 1979 წ., გვ. 129, 133, 134, 135, 136, 157, 165...

ამრიგად, ჩვენ სავსებით სამართლიანად დავსვით საკითხი – აღნიშნავს თუ არა სიტყვა «სპეტაკი» ძველი ქართული ეროვნული დროშის შემთხვევაში «თეთრ» ფერს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი აღნიშნავს «ბრწყინვალეს», რადგან ამ დროშის შესახებ პირდაპირ წერია «ხელმწიფის კარის გარიგებაში» - იგი იყო «მნათობი» (ესე იგი «მოელვარე», «ბრწყინვალე»).

მაგრამ, ხომ შეიძლებოდა ეს ბრწყინვალე დროშა თეთრი ფერის ყოფილიყო? ბრწყინვალება თავისთავად სითეთრეს ხომ არ გამორიცხავს? მაშ, რის საფუძველზე მივიჩნიეთ, რომ ეს იყო ჩალისფერი, ანუ მზისფერი დროშა?

გორგასლიან დროშაზე არსებული ოქრომკედის შესახებ ჩვენი მოსაზრება, ვფიქრობთ, სავსებით დამაჯერებელად გვაქვს წარმოდგენილი. ფაქტი ის არის, რომ ძველად საქართველოში არა მხოლოდ მთავარ დროშებს ქარგავდნენ ოქროს ძაფით, არამედ ამ დროშების შესანახი ბუდეებიც ოქროქსოვილი იყო. ოქრომკედს კი, როგორც ცნობილია, სწორედ ჩალისფერი, ანუ მზისფერი ბრწყინვალება აქვს.

+ + +

გიულბაგი (V-VI სს.)

იხ. ნინო სილაგაძე, სასანური სიმბოლური მოტივები ადრექრისტიანული ქართული რელიეფისა და ტორევტიკის ნიმუშებზე, თბ., 2010 წ., ტაბ. #6, გვ. 24.

ჩვენს წიგნზე მუშაობა უკვე დასრულებული გვქონდა, როდესაც შევიტყვეთ გიულბაგში არსებული ამ გამოსახულების შესახებ. იგი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სწორედ ბოლნური ჯვარი წარმოადგენდა ქართველთა ეროვნულ სიმბოლოს ვახტანგ გორგასლის ეპოქაში.

საძიებელი

ა

აბულაძე იუსტ. 11, 38, 41, 46
აბულაძე ილ. 12
აზია 21
აკვანება 27
ალავერდი 35
ალმონდი ი. 20
ამბროსი ნეკრესელი 44, 45
ამერიკა 21
ამილახვრები 13, 36
ამილახორი დიმიტრი 18
ანდრონიკაშვილი აბელი 46
ანთელავა ი. 12, 34
არაბები 8
არჩილ მეფე 50
ასათიანი ლ. 13, 14
აფრიკა 21
აჭარიანი 19
ახალციხე 34
აჰურა–მაზდა 23

ბ

ბაბესიანი 32
ბაბილონი 23
ბაგრატ III 6, 7
ბაგრატიონების დინასტია 7, 17, 18, 29, 30
ბაგრატიონი ვახუშტი 13, 16
ბაგრატიონი თეიმურაზ 15, 16
ბაგრატიონი იოანე 42
ბარათაშვილი გ. 11
ბარამიძე ალ. 46
ბარამიძე ლ. 64
ბარნაველი ს. 12, 13, 15, 16, 18, 23, 33, 34, 35, 36, 37, 42, 45, 47
ბასილი ეზოსმოძღვარი 39
ბერძენიშვილი ნ. 6, 46
ბიზანტია, ბიზანტიელი 17, 25
ბიჭიკაშვილი ი. 20, 21, 28
ბოლნისის სიონი 24, 30
ბოჭორმა 28
ბურერი მ. 10, 62
ბუჩურაშენი 25

გ

გაბელია ვ. 35
გამსახურდია ს. 13
გარნისი 40
გაწერელია აკ. 45
გელათი 11, 34
გიგინეიშვილი ბ. 65
გიორგი XII 13
გიორგი XIII 15, 45
გიორგი ბრწყინვალე 8
გიორგი დიდმოწამე 13, 15, 16, 17, 45
გიორგი მეფე იმერეთისა 12
გიულბაგი 66
გიუნაშვილი ე. 65
გოკიო 28
გორგასლიანთა დინასტია 7, 29, 30
გრიმი 62

გროსვერნორი ჯ. 20
გურია 15

დ
დავით აღმაშენებელი 6, 7, 12, 38, 39, 42
დავით კურაპალატი 29
დავით სოსლანი 6, 41
დანკერი ფ. 10
დასავლეთევროპელები, დასავლეთევროპული 19, 20, 28
დემეტრე I 38
დემოიანი 32
დოლიძე ი. 11, 47
დონდუა გ. 22
დონდუა თ. 22

ე
ეგვიპტე 17, 19
ედსონი ე. 21
ელოიმ 39
ენუქაშვილი რ. 64
ეპიფანე კვიპრელი 65
ერეკლე II 16
ეფრემ მცირე 64

ვ
ვადბოლსკი მ. 22, 23, 24, 35
ვარძია 6, 41
ვახტანგ III 19
ვახტანგ VI 62
ვახტანგ გორგასალი 7, 8, 12, 15, 21, 23, 24, 28, 30, 31, 32, 43, 51, 53
ვეისმანი ა. 10
ვილიბალდი 62
ვიტფილდი პ. 21

ზ
ზაქარაია პ. 16
ზაქარია ამირსპასალარი 40
ზემო ოროზმანი 26

თ
თათრები (მონღოლები) 8
თამარ მეფე 6, 8, 12, 14, 34, 35, 36, 38, 41
თამარის პირველი ისტორიკოსი 9
თაყაიშვილი ე. 12, 33, 47
თევზაია მ. 25
თევზაძე გ. 12
თეიმურაზ I 35
თეიმურაზ II 18
თეოფილაკტე ბულგარელი 49
თვარაძე ა. 16, 20, 21, 28, 47
თოდუა მ. 38
თუმანიშვილი დ. 35
თურქეთი 20

ი
იბერია 21
იერუსალიმი 20
იესო ქრისტე 34, 48, 49, 50, 51
ივანე ათაბაგი 5, 7, 41
ილორი 12, 45
იმერეთი 12
იოანე ოქროპირი 48, 64
იორდანიშვილი ს. 9, 42
ისაკაძე დ. 35
იშხანი 25

კ
კარბელაშვილი პ. 16, 18, 46
კარბონი ს. 21
კახეთი 24 (იხ. ქართლ–კახეთი)
კვირიკაშვილი ლ. 61
კვირიკე 13
კიზილ–ქილისა 26
კიკაჩეიშვილი თ. 50
კლდიაშვილი დ. 8, 13, 16, 20, 24, 32, 42
კობიძე დ. 12
კონსტანტინე დიდი 32
კოჭლამაზაშვილი ე. 64
კრავჩენკო ა. 25, 27
კრიუგი კ. 10
კუჭაიძე ქაიხოსრო 12

ლ
ლათინური 34
ლეონიძე გ. 9, 42
ლეჩხუმი 12
ლიდელი 10, 63
ლოლაშვილი ივ. 40
ლორთქიფანიძე მ. 17, 20

მ
მაკკანდლესი ბ. 20
მარგიშვილი ს. 9, 41
მატანის ცხრაკარა 28
მაღალაძეები 36
მაჩაბელი კ. 25
მელიქიშვილი დ. 65
მეტრეველი თ. 64
მეტრეველი კ. 28
მეტრეველი რ. 13
მილერი ჯ. 10, 62
მირიან მეფე 32
მიქაელ მთავარანგელოზი 13
მონღოლები 47 (იხ. თათრები)
მულახის მაცხოვარი 12
მუსხელიშვილი დ. 5, 8, 10, 16, 19, 20, 22, 23, 28, 36
მუხრანბატონი კონსტანტინე 18, 36
მცხეთის ჯვარი 24

ნ
ნიკორწმინდა 25
ნინოწმიდა საგარეჯოსი 35
ნიშნიანიძე შ. 14, 15.
ნორიო 42

ო
ოთხთა ეკლესია 29
ორბელიანი პაპუნა 18, 33
ორბელიანი სტეფანოზ 9, 15, 19
ორბელიანი ქაიხოსრო 18
ორსაყდრები 25
ოსმალეთი 17

პ
პახიმერი 17, 17
პეტრიწონი 35

ჟ
ჟამთააღმწერელი 8
ჟორდანია თ. 38

რ
რამიშვილი ქ. 13, 22

როსტომ ხანი 17
რუსები 45
რუსთველი (ეპისკოპოსი) 42
რუსუდან დედოფალი 36
რუსუდან მეფე 41

ს
საბაოთი (უფალი) 39
საბინინი მ. 38
საგარეჯოს ნინოწმიდა 35
სათხე 27
სანდერსონი მ. 21
სანიკიძე თ. 50
სარჯველაძე ზ. 48
საქართველო, ქართველი, ქართული 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 43, 44, 47, 50, 51, 52, 66
სებასტია 20
სვანეთი 13, 35
სვეტიცხოველი 39, 53
სილაგაძე ა. 9, 15, 16
სილაგაძე ნ. 66
სიმონ I 17, 43
სინდეთი 9, 41
სირიელები 17
სკანდინავია 32
სკოტი რ. 10, 63
სოლომონ I 16
სოლომონ II 33
სოლომონი (ბიბლ.) 39
სომეხი, სომხური 9, 19, 31, 32
სპარსეთი, სპარსული 12, 17, 18, 21, 22, 23, 24, 40, 41
სტეფანე ხირსელი 17, 18
სურგულაძე ი. 39, 40
სურგულაძე ქ. 6, 35

ტ
ტაბაღუა ი. 17, 43
ტიმოთესუბანი 25
ტრაპიზონი 33

უ
უკანგორი 25

ფ
ფერაძე გრ. 17, 19
ფრიდონი 46
ფურცელაძე დ. 39

ქ
ქართველი, ქართული (იხ. საქართველო)
ქართლი 17, 18, 22
ქართლ–კახეთი 16
ქეთევან დედოფალი 35
ქერქუკი 23
ქიზიყი 16, 17, 46 (იხ. ჯიზიყი)

ღ
ღუდუშაური–შიოლაშვილი ილია II 21

ყ
ყაზან ყაენი 17
ყაუხჩიშვილი ს. 5, 6, 9, 30, 32, 39, 41, 50, 61

შ
შამქორი 41

შანიძე აკ. 35, 64
შანიძე მ. 48, 49
შმერლინგი რ. 25, 27
შოშიაშვილი ნ. 12, 29, 34
შუმერები 23

ჩ
ჩაგუნავა რ. 20, 21, 28
ჩიქოვანი ნ. 49

ცაგარეიშვილი ე. 10, 15, 18, 33

წ
წალენჯიხა 12
წითელი საყდარი 26

ჭ
ჭავჭავაძე ილია 51
ჭანტურიშვილები 42
ჭიჭინაძეები 42

ხ
ხახული 25
ხეთები 23
ხერხეულიძეები 42
ხვარაზმელები 41
ხირსა 18

ჴ
ჴიზიყი 17 (იხ. ქიზიყი)

ჯ
ჯავახიშვილი ივ. 6, 16, 36, 39, 45
ჯალალედინი 41
ჯანაშვილი მ. 16
ჯაფარიძე გ. 9, 15,
ჯაფარიძე ვ. 25, 26, 27
ჯვაროსნები 21
ჯონსი ჯ.10, 62
ჯუანშერი 32

THE GORGASAL'S BANNER

King Vakhtang Gorgasal (5th century) is one of the most legendary persons from Georgian history. His flag was the main national symbol of Georgian Kingdom during many centuries. Despite this, survived historical sources don't give us an exact description of this banner. So our book presents hipothetical variant of its shape, size, colour and other features.

In difference to other scientists we tend to think that this flag had not white colour, because it was embroidered by golden threads. So it had pale-goldish gleaming. We also affirm that there was big, dark-red cross with round crown (so-called «Bolnuri Cross») depicted on this banner. And there were also inscribed sacred texts on it.

In the second part of our book we discuss some main customs related with Gorgasal's banner. And in the final third part we explain the meaning of symbols of this flag.